გაზეთი ბოლოს, „ვერსიას“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№99 (994) 17 – 19 ოქტომბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

„რუსეთი სამეგრელოსა და კახეთში ვითარების არევას ეცდება“

რას საფრთხეს შეუქმნის რუსეთ-აფხაზეთის შეთანხმება საქართველოს

დაკვეთილი ვანდალიზმი თუ პოლიტიკური შურისძიება

რა მუქარის ზარები მიიღო წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიის მესანთლემ და რა გაუმხიდა „ვერსიას“ მამა ისემ

გვ. 3

„ეკლესიის დარბევა, მინარეთი, ლორის თავი — ეს ერთი სიუჟეტური ხაზია, რომელსაც რუსეთი გეგმავს“

გვ. 4

ექსკლუზიური ჯადრები დარბეული ტაძრიდან

ეკლესიის გაქურდვის ბრალდებით 2 არასრულწლოვანი დაკავებულია

ბიზნესის ხელშეწყობა ქართულად ანუ რატომ აკოტრებს თავდაცვის სამინისტრო „ვენკოს“

გვ. 6

„ნეოკლინიკაში“ თურქი ექიმები ვენების ვარიკოზულ დაავადებებს უახლესი მეთოდით განკურნავენ

გვ. 7

ინვესტიცია უძრავ ქონებაში – მარტივი გზა სარფიანი მოგებისათვის

გვ. 9

ვინ არის და რა ქონებას ფლობს ალექსანდრე მაშკევიჩი?

გვ. 5

რა პროექტებს განახორციელებს ბიზნესმენი საქართველოში და როგორ შეარიგა მან ვანო ჩხარტიშვილი ბიძინა ივანიშვილთან

საბჭდისწერო ექსპერიმენტი ზონაზე

როგორ „წააქეზა“ დადი მოროშკინამ პატიმარი და რატომ ახრჩობდა კობა პაემანზე მისულ ცოლს

პატიმრის დღიური

გვ. 9

„გამომძიებელი რეპორტიორი“ იწყება

რატომ გადაწყვიტეს საგამოძიებო ჟურნალისტიკაში დაბრუნება და რას გამოიძიებენ „90-იანელი ჟურნალისტები“

გვ. 8

„რუსეთი სამეგრელოსა და კახეთში ვითარების არევას ეცდება“

რას საფრთხეს შეუქმნის საქართველოს რუსეთ-აფხაზეთის შეთანხმება

რუსუდან შელია
557-100-768

„მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ შეთანხმება“, — ასე ჰქვია ოკუპირებული აფხაზეთისა და რუსეთის დაგეგმილ პროექტს, რომელსაც დე ფაქტო აფხაზეთის პარლამენტში რამდენიმე დღეა განიხილავენ. თავად შეთანხმების დოკუმენტი 6 თავისა და 25 მუხლისგან შედგება და გაერთიანებული ჯარების დაჯგუფების შექმნასთან ერთად, საერთო თავდაცვითი ინფრასტრუქტურის შექმნასა და აფხაზეთის ე.წ. საზღვრის დაცვასთან დაკავშირებით ერთობლივ მოქმედებებს ითვალისწინებს. სამხედრო თანამშრომლობის გარდა, პროექტის მიხედვით, აფხაზეთსა და რუსეთს შორის ერთიანი სოციალური და ეკონომიკური, საერთო კულტურული და ჰუმანიტარული სივრცეების შექმნაც განიხილება. მეტიც, რუსეთი თურმე აფხაზეთის საერთაშორისო კავშირების უზრუნველყოფაზეც „იზრუნებს“, მათ შორის იმ სახელმწიფოების წრის გაფართოებაზე, რომლებიც აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებენ; ასევე შექმნის წინაპირობას აფხაზეთის საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანებისთვის.

აფხაზეთში რუსეთის კეთილი მიზნების არ სჯერათ — დოკუმენტს ე.წ. პარლამენტში უარყოფითი შეფასება მოყვა და პროექტი აფხაზეთის სუვერენიტეტის დაკარგვის მცდელობად შეფასდა.

რუსეთის შეთავაზებაზე მსჯელობს „ქართული ოცნებაც“, თუმცა მოლაპარაკების ჩაშლას ოკუპანტ მეზობელთან, ჯერჯერობით, არ გეგმავს. პირიქით, თედო ჯაფარიძის ინიციატივა, აბაშიძე-კარასინის შეხვედრის გაუქმებასთან დაკავშირებით, დეპუტატის სიბერეს დაბრალდა, ზურაბ აბაშიძე კი პრაღაში რუს დიპლომატთან შესახვედრად მაინც გაემგზავრა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ, თუ პრემიერის სპეციალური წარმომადგენელი კარასინთან შეხვედრაზე არ გაემგზავრებოდა, რუსეთთან ურთიერთობა უფრო დაიძაბებოდა. **„დაველოდოთ კარასინი-აბაშიძის შეხვედრის დასრულებას და ვნახავთ, სწორი იყო თუ არა გადაწყვეტილება ამ ფორმატის ჩატარებაზე“,** — ასეთია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, მაია ფანჯიკიძის პოზიცია. მისივე განცხადებით, ქართული მხარე საერთაშორისო თანამეგობრობასთან აქტიურად მუშაობს, რათა ახალ გამოწვევაზე ადეკვატური რეაქცია ჰქონდეთ.

დიალოგის აუცილებლობაზე საუბრობს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილიც. იგი დოკუმენტს საქართველოს შეურაცხმყოფელს უწოდებს და ამ ხელშეკრულების გაფორმებით ვითარების შეცვლას არ ელის: **„თვითონ ტექსტის სულისკვეთება ამცირებს და შეურაცხყოფს მთლიანად საქართველოს მოსახლეობას, რადგან ოკუპაცია გრძელდება. ესაა მთავარი კონტექსტი და არა საკითხი, ჯარს ვინ აკონტროლებს. არმიას დიდი ხანია უკვე რუსეთი აკონტროლებს, რადგან ის საოკუპაციო რეჟიმის წამყვანი ფაქტორია. შესაბამისად, ყველა ჯარისკაცი ისედაც რუსეთს ემორჩილება“.** ერთი სიტყვით, სანამ მმართველი გუნდი რუსეთის პროექტზე ერთიან სტრატეგიას შეიმუშავებს, საპარლამენტო უმცირესობა, აფხაზეთის ანექსიის აცილების მიზნით, ხელისუფლებას თანამშრომლობას სთავაზობს. ნაციონალური მოძრაობა „ქართულ ოცნებას“ რუსეთთან ორმხრივი მოლაპარაკების შეწყვეტასა და დიალოგის გაგრძელებას მხოლოდ ჟენევის ფორმატით ურჩევს. **„რუსეთსა და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას შორის ინტენსიური მოლაპარაკება ხელშეკრულების გაფორმებაზე, რომელიც აფხაზეთის ანექსიას ისახავს მიზნად, საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანი განხილვის საგანი უნდა გახდეს. ყველა ოპოზიციური ძალა უნდა გაერთიანდეს ამ ფაქტის წინააღმდეგ. ხელისუფლებას თანამშრომლობას ვთავაზობთ. იმის გამო, რომ ხელისუფლებამ არ მოგვისმინა და უკრაინის მოვლენებთან საქართველოს საკითხი არ განიხილა, ამ რეალობის წინაშე დავდექით. აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკების შეწყვეტასთან ერთად, საქართველოს პარლამენტისგან პოზიციის დაფიქსირებას მოვითხოვთ. რეზოლუციის ტექსტს მოვამზადებთ და დავარეგისტრირებთ. იმედია, კვირის ბოლომდე უმრავლესობა მას მხარს დაუჭერს“,** — ასე მიმართა ნაციონალური მოძრაობის გენერალურმა მდივანმა ზურა ჯაფარიძემ საპარლამენტო უმრავლესობას.

პოზიციის შემუშავებისკენ პარლამენტს საქართველოს პრეზიდენტმაც მოუწოდა, რომლის შემდეგაც გიორგი მარგველაშვილი უშიშროების საბჭოს სხდომის მოწვევას გეგმავს.

რაც შეეხება საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერას, საქართველოში აშშ-ს ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა, რომ დასავლეთი საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უჭერს. რამდენად ადეკვატურია აფხაზეთის ანექსიის მცდელობაზე თავად საქართველოს ხელისუფლება და საზოგადოება, ან რა იქნება რუსეთის შემდეგი ნაბიჯი, „ვერსიის“ კითხვებს „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერი **პაატა ზავითაია** პასუხობს, რომელიც, სხვათა შორის, რუსეთსა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის მსგავს შეთანხმებას ორი თვის წინ პროგნოზირებდა:

— **რა აზრი ამ ქვეყანაში პროგნოზებსა და მოვლენების ანალიზს, თუ არავინ უსმენს?! როცა აფხაზეთში რუსეთის გეგმებზე ვსაუბრობდი, პაატა ზაქარეიშვილი ამბობდა, ყირიმის მოვლენებისა და აფხაზეთის შედარება გაუმართლებელიაო. რეალურად, აფხაზეთის ანექსია უკვე დაწყებულია და ეს შეუქცევადი პროცესია. საერთაშორისო ტრიბუნის გამოყენება ქართულ მხარეს მაშინ უნდა დაეწყო, როცა ამის შესახებ ვსაუბრობდი. როცა მტერს ელაქუცები, ის ცდილობს, მაქსიმალურად მეტი წაგართვას, რადგან ხედავს, ტერიტორიების დაცვა არ შეგიძლია. თუ თავად ხელისუფლება აცხადებს, რომ რუსეთთან ურთიერთობა დაალაგა, სხვას რა უნდა ვთხოვოთ? დღეს აფხაზეთში რუსეთის პოლიტიკის გამტარი ხაჯიმბაა, რომელიც აფხაზეთის რუსეთთან ინტეგრაციის მხარდაჭერას არც მალავს.**

— **რუსეთის მიერ წარმოდგენილი პროექტი თავად აფხაზებმა სუვერენიტეტის დაკარგვად შეაფასეს. საგარეო საქმეთა მინისტრიც აცხადებს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობას ინფორმაციას მაქსიმალურად მიაწვდის. აფხაზეთში დაწყებული პროცესის შეჩერების მექანიზმი ამოწურულია?**

— საქართველოს ხელისუფლებას სტრატეგია არ აქვს. ის მხოლოდ ხანძრის დროებით ჩაქრობას ცდილობს. პაატა ზაქარეიშვილმა რა უნდა გააკეთოს, როცა საკითხის მნიშვნელობა არ იცის? თუ 2008 წელს აფხაზეთში რუსული ჯარი შედიოდა, დღეს ხელისუფლება დაღესტან-კახეთის გზის შენებაზე საუბრობს, რუსული ჯარი ენგურზე გადმოდის. ამის შემდეგ რუსეთი სამეგრელოსა და კახეთში ვითარების არევას ეცდება; არ დაგვავიწყდეს ჯავახეთიც, რომელსაც კრემლში უკვე რუსეთსა და სომხეთს შორის სასიცოცხლო კორიდორს უწოდებენ. საუბარია ცხინვალსა და ჯავახეთს შორის დაახლოებით 70-კილომეტრიან გზაზე. პროცესი საკმაოდ სწრაფად დაიწყება. ზვიად გამსახურდია, ედუარდ შევარდნაძე და მიხეილ სააკაშვილი რუსეთს ებრძოდნენ, არავინ სვამდა კითხვას, რუსეთი ოკუპანტია თუ არა, „ქართული ოცნება“ კი, რუსეთს უბრძოლველად ბარდება.

— **რა უნდა გაკეთებულიყო, აბაშიძე-კარასინის შეხვედრა ჩაშლილიყო და რუსეთს ამ თემით სპეკულაციის საშუალება მისცემოდა?**

— რუსეთს საქართველოს დაპყრობა უნდა! დაპირისპირების დრო არ არის, ყველა ერთ პოზიციაზე უნდა ჩამოყალიბდეს. რუსეთმა იცის, საქართველოს ომს ვერ მოუგებს, თუ სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებს არ დააპირისპირებს. სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლებას არ ეტყობა, რომ პრობლემის არსი ესმის. აბაშიძე-კარასინის შეხვედრა ფინჯან ყავაზე საუბარს უფრო ჰგავს — იქ არც პროტოკოლი იწერება და არავინ იცის, რაზე თანხმდებიან. რომც შეთანხმდნენ გარკვეულ საკითხებზე, შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში რუსეთს პასუხს ვინ მოსთხოვს? უნდა დაიწყოს სტრატეგიის შემუშავება, საერთაშორისო დონეზე თემის გახმაურება, მაგრამ, თუ თავად ოკუპაციაზე საუბარს ერიდები, დასავლეთშიც ყურადღებას არავინ მოგაქცევს.

20-22 ოქტომბერს საქართველოში ქართულ-ებრაული 26-საუკუნოვანი მეგობრობის იუბილე აღინიშნება

ამ დღესთან დაკავშირებით საქართველოს ისრაელის 130-კაციანი დელეგაცია ეწვევა, რომლის შემადგენლობაშიც აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებიც იქნებიან.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართება ბიზნესფორუმი საქართველოსა და ისრაელის ბიზნესმენების მონაწილეობით; ასევე დაგეგმილია დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის გახსნა, ღონისძიების ფორმატში გამოცემული წიგნების პრეზენტაცია, ებრაულ ენაზე გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ პრეზენტაცია, კარატეს „მაქაბის“ მსოფლიო თასის გახსნა, კლასიკური მუსიკის კონცერტი.

ისრაელის სამთავრობო დელეგაციასთან შეხვედრას გამართავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი. ქართულ-ებრაული 26-საუკუნოვანი მეგობრობის იუბილის ორგანიზატორია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია.

„პირველი“

საბერძნეთის სასამართლომ დათა ახალაიას ექსტრადიციაზე უარი თქვა

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ქართულ მხარეს დათა ახალაიას ექსტრადიციის მოთხოვნაზე უარი ეთქვა. კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი უფროსის ექსტრადიცია საქართველოში არ მოხდება. დათა ახალაიას საქმე საბერძნეთის სასამართლომ განიხილა.

დათა ახალაია რამდენიმე თვის წინ საბერძნეთში დააკავეს. პატრასის პოლიციის წარმომადგენლის განცხადებით, ახალაია იტალიაში გადასვლას ოთარ ურუშაძის სახელით ცდილობდა. საბერძნეთის სასამართლომ ახალაიას გირაოს სახით 100 ათასი ევროს გადახდა დააკისრეს და თანხის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს. საქართველოში დათა ახალაიას წინააღმდეგ რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, მათ შორის, ე.წ. ნავთლუღის სპეცოპერაციისა და სანდრო გირგვლიანის საქმეები.

„პირველი“

ქუთაისში პარლამენტთან თვითმკვლელობა სცადეს

იპოთეკური სესხებით დაზარალებულმა სამმა ქალბატონმა წნევის წამლის 20-20 აბი დალიეს, რის შედეგადაც მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკული გახდა.

„დავინახე, რომ მუჭში აბები ეყარა და პირში ჩაიყარა, უცებ წაიქცა, რის შემდეგაც სასწრაფო სამედიცინო დახმარება გამოვიძახეთ“, — აცხადებს თვითმხილველი ნათელა მანაგაძე.

იპოთეკური სესხებით დაზარალებული ადამიანები პარლამენტთან დაბალპროცენტიან გრძელვადიან სესხებს მოითხოვდნენ.

„პირველი“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

დაკვეთილი ვანდალიზმი თუ პოლიტიკური შურისძიება



რა მუქარის ზარები მიიღო წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიის მესანთლემ და რა გაუმხიდა „ვერსიას“ მამა ისემ

სამართალდამცველებმა, სვეტიცხოვლობას წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიის გაქურდვის ბრალდებით, 16 ოქტომბერს ორი, 15 და 17 წლის ბავშვი დააკავეს. შს სამინისტროს ინფორმაციით, ეს ბავშვები წარსულში ქურდობაზე ნასამართლევი უკვე იყვნენ, ამჯერად კი დაკავებულებმა აღიარეს, რომ 14 ოქტომბერს, ღამის საათებში, ქინძმარაულის ქუჩის ტერიტორიაზე, წმინდა ბარბარეს სახელობის სასაფლაოსთან მდებარე ეკლესიის კარი შეამტვრიეს და შესაწირი ყუთი გატეხეს, საიდანაც ფული მიითვისეს. დამნაშავეების სახლიდან, ჩხრეკის შედეგად, ამოღებულია ჯვრები, ხატები, კრიალოსნები და სხვა საეკლესიო ნივთები. ჩადენილი დანაშაული ორივემ აღიარა და გამოძიება ჯგუფური ქურდობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

ეს რომ მხოლოდ ეკლესიის გაქურდვის მორიგი ფაქტი არ ყოფილა, ამაზე ცოტამ თუ ისაუბრა. „ვერსია“ წმინდა ბარბარეს სახელობის ტაძარში თავად მივიდა და შემზარავი დარბევის ამსახველი არაერთი ფაქტიც ნახა: ღვთისმშობლის შეურაცხყოფილი ხატი, წმინდა გიორგის გაბზარული ხატი, რომლის ორად გადატეხაც სურდათ, ვერცხლის გადაღუნული ჯვრები, დამტვრეული ლოცვანი, რომელიც ტაძრის კედელზე ჩარჩოში ჩასმული ეკიდა, ხოლო შესაწირის ყუთები კედლიდან მთლიანად ამოგლეჯილი და წაღებული იყო. ტაძრის ეზოში, სადაც რამდენიმე საფლავია, მარმარილოს დიდი ქვა ეგდო, რომლითაც, როგორც გაირკვა, დაკეტილი ტაძრის კარი შეამტვრიეს. სხვათა შორის, ამ ქვის ადგილზე დაბრუნება რამდენიმე ზრდასრულმა მამაკაცმა დიდი გაჭირვებით მოახერხა, ამიტომ რამდენად სარწმუნოა, რომ 15 და 17 წლის ბავშვებმა ამ ქვით ეკლესიის კარი დამოუკიდებლად გატეხეს, სხვა თემაა. ადგილზე მრევლიც დაგვხვდა. რამდენიმე მათგანს გავესაუბრეთ, რომელთაც ამ დანაშაულზე საკუთარი ვერსიები აქვთ. ერთ-ერთმა, ხანშიშესულმა ქალბატონმა გვითხრა, რომ ტაძრის შელახვამდე ერთი კვირით ადრე, მესანთლემ მუქარის ორი ზარი მიიღო; მეორე ქალბატონი კი ეჭვობდა, დამნაშავეებმა მაინცდამაინც ეს ტაძარი იმიტომ აირჩიეს, რომ წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესია პირველი იყო, საიდანაც საქართველოს სხვადასხვა ეკლესიებში სასწაულმოქმედი ხატი გადააბრძანესო. მრევლმა ისიც გვიამბო, რომ სულ ორიოდ დღის წინ, საჩხერის ერთ-ერთ სოფელში ეკლესია ანალოგიურად დაირბა, თუმცა ამ ამბის შესახებ არავის არაფერი უთქვამს და მომხდარი არც მედიასაშუალებებს გაუშუქებია. ვესაუბრეთ ტაძრის მესანთლეს, რომელიც პირველი იყო, ვინც დარბეული ეკლესია ნახა. თინათინ ჭუმბურიძემ გულისწყრომით შემოგვჩივლა, თავის ზედმეტად ატკიება არავის სურს, ეს ამბავი ყველამ უბრალო ქურდობად მონათლა, რომ იოლად გამოძვრნენო. ჩვენთან საუბარში მან მუქარის ზარების შესახებ ინფორმაციაც დაადასტურა და მომხდარიც ვრცლად გვიამბო.

თინათინ ჭუმბურიძე: „20 წელია აქ ვმუშაობ, მთელი ოჯახი აქ ვართ და ვმსახურობთ, მედავითნედ, სტიქაროსნად. ასეთი რამ 20 წლის განმავლობაში არ მინახავს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ეკლესია 20-ჯერ მაინცაა გაქურდული. ამ ტერიტორიაზე სულ მარტო ვარ ხოლმე და შეიძლება ისე მომკლან, კაციშვილმა ვერაფერი გაიგოს. ნაცემიც ვყოფილვარ, ეკლესიაც გაუქურდავთ, შესაწირი ყუთებიც დაუმტვრევიათ, მაგრამ ხატები და სტიქარი არავის შეურაცხჰყვია. შელახული იყო ყველა სიწმინდე, საკურთხეველი. მანამდე კი, ერთი კვირით ადრე, ორჯერ მივიღე სატელეფონო ზარი და ვიფიქრე, ალბათ, შეცდნენ-მეთქი. ასე მეუბნებოდნენ, აისრულეთ ოცნებაო და უშვერი სიტყვებით მომმართავდნენ. ამის შესახებ ტაძრის დარბევის შემდეგ გამახსენდა, ეს ამბავი კრიმინალისტებსაც ვუთხარი, ტელეფონიც წაიღეს, მაგრამ ახლა აზრი არ აქვსო, მითხრეს. ალბათ, ყველაზე რეალური ორი ვერსიაა — ეს ან რელიგიური ექსტრემიზმი და შურისძიების გამოვლინება იყო მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ, ან რაღაც პოლიტიკური ნაბიჯი, რასაც ამ ზარებს ვუკავშირებ. ჩვენი მოძღვარიც ძალიან გულახდილია, ღიად საუბარი უყვარს და ეს ფრაზა, აიხდინეთ ოცნებაო, შეიძლება პოლიტიკურადაც გავიგოთ. ველოდებით, რას იზამს პოლიცია. ჯერჯერობით, საქმე მხოლოდ გაქურდვის მუხლითაა აღძრული, არადა, სპეციალურად გავაფრთხილე, რომ ეს ქურდობა არ იყო. მთელ მრევლს შევკრებ და ყველანი ფეხზე დავდგებით, რომ სიმართლე გაირკვეს. საკურთხეველში შევიდნენ და სახარებას შეეხნენ, მეორე სართულზე ავიდნენ და საგალობლების წიგნები გადმოყარეს, საეკლესიო სამოსელი გასვარეს, ღვთისმშობლის ხატი შელახეს, ჯვრები გადაგრიხეს. ქურდობის დროს ჯვარს ვინ გრეხს? წმინდა ნინოს ლოცვას ვინ ამტვრევს?! ტაძარი შელახულია, მართლმადიდებლობა, ეკლესია და ქართველი ერია შეურაცხყოფილი. ამ ხელისუფლებას ის უნდა, ვიღაც დაიჭიროს ქურდობაზე, ჩასვან და მერე ციხიდან მარტივად გამოვიდეს. ეს არის ძალიან ცუდი პროცესის დასაწყისი. აბა, ერთი, მეჩეთზე მომხდარიყო ასეთი თავდასხმა, მთელი არასამთავრობოები დაესეოდნენ და ერთი ამბავი ატყდებოდა, ახლა კი სერიოზული განცხადება არავის გაუკეთებია, მხოლოდ გამგებელი მოვიდა. ჩემი აზრით, ეს შეკვეთილი, ჯგუფური ვანდალური აქტი იყო. იმ მარმარილოს ქვას 2-3 კაცი მაინც უნდა, რომ ასწიონ. ვიღაც სასაფლაოს შესასვლელთანაც ხომ უნდა მდგარიყო, რომ დანარჩენები გაეფრთხილებინა, ვიღაც მოდისო. თანაც სიგნალიზაციაც გვაქვს, რომელიც ღამით მთელ ქუჩაზე ისმის.

> **რასაც წმინდა ბარბარე მკარნახობს, იმას გეუბნებით — ეს ქურდობა არ ყოფილა. ეს ეკლესიისა და წმინდანების შეურაცხყოფა იყო! შესაწირი ყუთებიც თვალის ასახვევად ჩამოგლიჯეს, რომ ეს ქურდობას დაბრალდებოდა. თუ ვინმეს რამის წაღება უნდოდა, ოქროს საათი და ძეწკვი რომ ისევ დევს ხატთან, არ წაიღებდნენ?**

ეტყობა, არ უნდათ, რომ ზედმეტად შეწუხდნენ და ადვილად გამოძრომა მოინდომეს. ვიღაცას დაიჭერენ და იტყვიან, ამან იქურდაო. მთავრობასა და პოლიციას თავის შეწუხება არ უნდა და ეგაა, მერე ამ ფაქტს სხვა ელფერი რომ მიეცეს, მეტი მუშაობა და გამოძიება მოუწევთ და სწორედ ეგ არ უნდათ. ვამბობდი, ვიღაც ცუდად შემოძვრა-მეთქი, მოძღვარსაც ვეუბნებოდი, რომ ჩვენთან ვიღაცები დადიან, მატლებივით ფუთფუთებენ, რაღაცას ჩაჰკირკიტებენ. ამიტომ ეს შეკვეთილი მგონია და არც გამოძიების იმედი მაქვს. ადრეც მოუყვანიათ ძაღლები და კატები, მაგრამ არაფერი გამოუძიებიათ, ვნახოთ, რას იზამენ. ეს საქმე თუ ჩაიფარცხა და კრიმინალები არ შეშინდნენ, ცოტა ხანში შემოვლენ და მომკლავენ“.

ამასობაში, ტაძარში ეკლესიის წინამძღვარი, **მამა ისეც** დაბრუნდა, რომელიც საპატრიარქოში იმყოფებოდა და მასთან გასაუბრების საშუალებაც მოგვეცა:

— მამაო, დანაშაულს თქვენ რა შეფასებას აძლევთ?

— საერთოდ ადამიანი იმას შეურაცხყოფს, ვინც და რაც მასზე ძლიერია. თავისზე სუსტს არავინ ებრძვის. ჩვენი ერის სიმტკიცე კი ყოველთვის ეკლესია იყო, მაგრამ მსოფლიო კოსმოპოლიტიზმს ეს აღარ სჭირდება. ჩვენ გავკივით, რომ არ გვინდა ტრადიციები, ნატო-სა და ევროკავშირში უნდა შევიდეთ, მაგრამ, როცა რესტორანში შევდივართ, მოქეიფე ბიჭები ხომ არ ვხდებით. შეიძლება, უბრალოდ ისადილო და გამოხვიდე. ასევე შეიძლება შევიდეთ ევროკავშირში, მაგრამ ისეთები არ გავხდეთ, როგორებიც იქ დაგვხვდებიან. ყველა ხელისუფლება, ძველიცა და ახალიც, იმაზე ფიქრობს, თავისი საქმე გაიკეთოს. სათავეში მოსვლამდე ყველა პატრიარქის მეგობარია, მოსვლის შემდეგ ყველა ბრძოლას უწყებს უწმინდესს, ეს ცოტა მკვახე განცხადებაა, მაგრამ რომ არ ვთქვა, გული არ მითმენს. რამე რომ დასჭირდებათ, პატრიარქთან გარბიან, თუმცა მარტო ეკლესიაში დგომა არაფერს ნიშნავს. კახურად ვიტყვი, თაგვი სულ წისქვილშია, მაგრამ მეწისქვილე ვერასოდეს გახდება. ეკლესიას ცუდად რომ ხელს შეახებს ადამიანი, ეს მთელი ერის შეურაცხყოფაა. მე კი დღეს, შეურაცხყოფილი ერის ხმა არ მესმის.

— როგორ ფიქრობთ, რატომ აირჩიეს ეს ტაძარი, რომელიც არც დიდია, არც მდიდარი, არც გზის პირზეა. ეს ვანდალური აქტი ლოგიკურად, რით შეიძლება აიხსნას?

— ამაზე ბევრი ვიფიქრე. ეს არ იყო ქურდობა, ეს იყო ეკლესიის მიზანმიმართული დარბევა. თუ არ მოვკვდებოდი, არ მეგონა, ისე ცუდად გავხდი, ყველა ორგანო მიკანკალებდა. ამას რომ აკეთებს ვიღაც, ვინ არის ეს ადამიანი?! სადამდე დავედით? ვისზე გვაქვს დღეს სწორება?! აგრესორი არ გეგონოთ, მაგრამ ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია ქართველობისა და მართლმადიდებლობის მტერია.

— ცოტა ხნის წინ საპატრიარქოში იყავით. რამე გამოხმაურება, ან განცხადების გაკეთება ხომ არ იგეგმება, რომ ეს საქმე მხოლოდ ქურდობის მუხლით არ ჩაიფარცხოს?

— საპატრიარქო ჩვენი საეკლესიო ხელისუფალია. ვფიქრობ, ეს საქმე ქურდობის მუხლით არ უნდა დარჩეს, რადგან ეს არ იყო ქურდობა. თუმცა რამდენიც უნდა ვიყვიროთ, დანაშაულის კვალიფიკაციას მაინც საგამოძიებო ორგანოები ადგენენ. ჩემი აზრი საპატრიარქოშიც ვთქვი — ეს რიტუალური დანაშაული იყო! პატრიარქი ელოდება, რას იზამენ. ეს ამბავი უკვე იცის პოლიციის უფროსმა, მან თავისი სამმართველოს უფროსს უნდა მოახსენოს, იმან — შს მინისტრის მოადგილეს. ახლა ჩვენ ველით, ვის რა პოზიცია ექნება ეკლესიისთვის!

ეს „პოზიცია“ ქურდობის მუხლით დაპატიმრებული ორი ბავშვი აღმოჩნდა, 15 და 17 წლის მოსწავლეები, მამა ისემ, კი, რომელსაც მოგვიანებით კვლავ ვესაუბრეთ, ასეთი შეფასება გააკეთა: **„ახლა უნდა ჩატარდეს საგამოძიებო ექსპერიმენტი. უნდა ვნახო, რას იზამენ ის ბავშვები, როგორ მოქმედებენ, როგორ აწევენ იმ მარმარილოს ქვას და ა.შ. ამის შემდეგ ვკითხავ, რატომ შევიდნენ საკურთხეველში და მივხვდები, მათ კიდევ ვინმე ახლდა, ეს შეკვეთა იყო და ბავშვები გამოიყენეს თუ არა“.**

„მინარეთი, ღორის თავი, ეკლესიის დარბევა — ეს ერთი სიუჟეტური ხაზია, რომელსაც რუსეთი გეგმავს“

რა იცვლება საქართველოსთვის რუსეთ-აფხაზეთის ხელშეკრულებით და რა სახიფათო თამაში დაიწყო 2016 წლის არჩევნებისთვის

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ნაციონალური მოძრაობისთვის მიცემული ბოლო გაფრთხილება, განცხადება, რომ ქვეყანაში ქაოსი და არეულობა მარტო ნაციონალებს აწყობთ და 315-ე მუხლით აღძრული საქმე მთელი პარტიის წინააღმდეგ, რაც ძალადობრივი შეთქმულებით ხელისუფლების ხელში ჩაგდებას გულისხმობს — მხოლოდ ეს განცხადებებიც მოწმობს, რომ პოლიტიკური ვითარება საქართველოში კრიტიკულ ზღვარზეა. თუ ამას რუსეთის თავხედურ ნაბიჯებსაც დავუმატებთ აფხაზეთში და ლარსის საზღვართან, ქვეყანა ამ შიდა და გარესაფრთხეების ფონზე, არცთუ სახარბიელო ვითარებაშია. „ვერსიისთვის“ ანალიზს საზოგადოებრივი კომუნიკაციების მართვის სპეციალისტი არჩილ გამზარდია აკეთებს.

— „ოცნების“ ამ განცხადებების მიზანი პრევენციაა, რომ გარკვეული არეულობის შემთხვევაში, ხელისუფლებას ბრალდებული ჰყავდეს. ასე იქცეოდა სააკაშვილიც — მისთვის ანტიგმირი რუსეთი იყო და ვინც არ ეთანხმებოდა, ყველას რუსეთის აგენტს ეძახდა. „ოცნებამ“ ნაციონალებს ე.წ. უკანა ფონი ვერ უპოვა, მაგრამ ანტიგმირს თავად ნაციონალებისგან ქმნის. პრობლემაა, რომ ეს მხოლოდ განცხადებებია და ხელისუფლებას ფაქტები არ წარმოუდგენია. როცა არგუმენტები არ ჩანს, პროცესი ამორფული ხდება მაშინაც კი, თუ მთავრობა სიმართლეს ამბობს. ზოგადად, ნაციონალების ქმედებების მოტივი ადვილი გამოსაცნობია — ხელისუფლებაში დაბრუნებას ყველა გზით შეეცდებიან. „ქართული ოცნება“ კი ამ დრომდე ყველაფერს აკეთებდა პოლიტიკურ სარბიელზე მათ დასატოვებლად. ჰოდა, როცა ამბობ, რომ ეს ძალა სახელმწიფოსთვის საშიში მტერია, მაგრამ პოლიტიკაში მის დარჩენას უწყობ ხელს, ცოტა გაუგებარია, 315-ე მუხლით საქმის აღძვრა, კიდევ უფრო გაუგებარია. 2 წლის წინ ხალხის ნაწილი მთელი პარტიის გასამართლებას ითხოვდა, როგორც ეს ჰიტლერის ფაშისტური რეჟიმის შემთხვევაში მოხდა. მახსოვს ყოფილი პრემიერის, ბიძინა ივანიშვილის განცხადება, ნაციონალურ მოძრაობაში დამნაშავე სულ რამდენიმე კაცია, დანარჩენები კი ჩვენი საზოგადოების წევრები არიანო. შესაბამისად, არ მესმის, რატომ მიჰყავთ საქმე აქამდე, როცა ინფორმაციის საფუძველზე, ამ შეთქმულების აღკვეთა შეუძლიათ ან ხალხი ასე რატომ დაზაფრეს?!

— კვანძის გასახსნელად დაჭერების ახალი სერია გველის, თუ საქმე უფრო რთულადაა და მასშტაბურ დაპირისპირებას უნდა ველოდეთ?

— ეს უგნური პროცესია... ყველა უნდა ხვდებოდეს, რომ დესტრუქციული ქმედებები, პირველ რიგში, ხელისუფლებას არ აწყობს. როცა ხელისუფლება ხარ და ამბობ, რომ ქაოსით ნაციონალური მოძრაობაა დაინტერესებული, ყველაფერი უნდა გააკეთო, პროცესი მართო. მხოლოდ განცხადებები და ნაციონალების გამოწვევა საკმარისი არაა. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადება ყველამ თავისებურად დაიწყო. ნაციონალები ახალ, ახალგაზრდა კადრებს ამზადებენ. „ოცნება“ კი მიხვდა, რომ, თუკი დღეს ბიძინა ივანიშვილი გამოვა და ვინმეს მხარს დაუჭერს, იგი, რაღაც შემადგენლობით, პარლამენტში მოხვდება. ნაციონალებიც შევლენ პარლამენტში, რადგან მყარი ამომრჩეველი ჰყავთ. ოღონდ, ნაკლები რაოდენობით. შესაძლოა, „ოცნება“ ამ პროცესით ნაციონალების დასუსტებას და პარლამენტში ვერშესვლას ცდილობდეს.

— ამ გეგმის ნაწილია ქვეყანაში მომხდარი ყველა ცუდი ფაქტის ოპონენტისთვის დაბრალება — იქნება ეს ვიღაცის გატაცება თუ ტაძრის დარბევა?

— ჯერჯერობით, წმინდა ბარბარეს სახელობის ტაძრის დარბევა მიჩქმალულია. თუ ჩვენი ქვეყანა პარალიზებულია და ელემენტარულ საფრთხეებს ვერ უმკლავდება, გარესაფრთხეების მოგერიებაზე საუბარი ზედმეტია. რამდენი ხანია ვამბობ, რომ დღევანდელი ვითარება წინა მოვლენების გაგრძელებაა. ეს ერთი ლოგიკური ჯაჭვია: ვიღაც გარედან ცდილობს, საქართველოში დაძაბულობის კერა შექმნას, გატესტოს და თუ არ გაამართლებს, მერე ახალი კერა შექმნას. ასეთი იყო სამცხეში მინარეთის კოშკის მოხსნა, ქობულეთში ღორის თავის მუსლიმების კარზე მიჭედება, თუმცა ჯამში, ეს კერები ისეთი გარდამტეხი არ აღმოჩნდა, ვითარება მთელ ქვეყანაში აერია. ახლა, წმინდა ბარბარეს ეკლესიის დარბევით მართლმადიდებლებს დაარტყეს და ასეთი გათვლა იყო — იქნებ, მართლმადიდებლობა, როგორც ქართველი მოსახლეობის უმრავლესობის რელიგია, უფრო ფეთქებადი საკითხი აღმოჩნდეს და ამას დიდი ვნებათაღელვა მოჰყვეს ქვეყანაშიო. ამ სიუჟეტის ავტორი გარემტერია, რომელსაც სულ სხვა კუთხით აინტერესებს ჩვენს ქვეყანაში შიდააშლილობა.

— ამ ხაზის გაგრძელებაა აფხაზეთ-რუსეთს შორის მოკავშირეობა-ინტეგრაციას დოკუმენტის დადება და მეორე მხრივ, ლარსზე საზღვრის გადმოწევა? კარასინისა და აბაშიძის შეხვედრებიც ჩვეულ რეჟიმში გრძელდება, არადა, დღეს იმაზე არავინ საუბრობს, რა იცვლება საქართველოსთვის ამ პროცესების შედეგად!

— აფხაზეთი და რუსეთი დაწყებულ საქმეს აგრძელებენ, მით უმეტეს, მათ ურთიერთობაში უკვე აფხაზეთის კონფედერაციად გარდაქმნის თემა გაჩნდა. ახლა ამ პოლიტიკის ლეგალიზება მიმდინარეობს და ჩვენთვის ეს არაფერს ცვლის. აფხაზეთთან ურთიერთობის ლეგალიზებას რუსეთი რუსული პასპორტების გაცემითაც ცდილობდა, მაგრამ მსოფლიომ ეს არ აღიარა, აღიარა მხოლოდ ნაურუმ. შედეგი ახლაც იგივე იქნება. ახლა აფხაზეთში სერიოზული კრიზისია და რაც დრო გავა, მეტად გაღრმავდება. აფხაზებს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის პრეტენზია აქვთ, მაგრამ თითოეულმა აფხაზმა იცის, რომ მსოფლიოში ვერსად წავა და იცხოვრებს, ვერ ისწავლის, იასპარეზებს აფხაზეთის სახელით. დღეს აფხაზეთს ათიათასობით დევნილი ჰყავს ე.წ. მტერ საქართველოში, რომელიც ავად თუ კარგად, წინ-წინ მიდის და მსოფლიოში თავის ადგილს იმკვიდრებს. შესაბამისად, ასეთი შემთხვევები საჩვენოდ უნდა გამოვიყენოთ და აფხაზეთს საქართველოსთან და არა რუსეთთან ყოფნის ეს დადებითი ასპექტები მესიჯებად გავუგზავნოთ. უნდა დავანახოთ, რომ აფხაზებისა და ოსების ხსნა ისევ საქართველოშია. როცა „ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა და თქვა, რუსეთთან ურთიერთობის დალაგება მსურსო, მხარი დავუჭირე, რადგან ეს დიპლომატიის აუცილებლობაა — ასე უნდა თქვა, მაგრამ თუ ატყობ, წინ ვერ მიდიხარ, ურთიერთობა ადგილზე უნდა გაყინო. ახლა კი საქართველო სრულიად გაურკეველ მდგომარეობაშია და ისე ჩანს, რომ ჩვენ უფრო ვართ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებით დაინტერესებული, ვიდრე თავად რუსეთი. დღეს რუსეთთან ურთიერთობას, არც ერთ დონეზე, აზრი არ აქვს. ყველა ნაბიჯი, რასაც ვდგამთ, მსოფლიოს უნდა ვაჩვენოთ. კარგ დონეზე შევჩერდით — შევცვალეთ სააკაშვილის აგრესიული სტილი, ვთქვით, არ გვინდა მტრობა, მაგრამ პასუხად ვერაფერი მივიღეთ. ეს დიპლომატია ადგილზე გაგვეყინა, ახლა რაღაც გაურკეველ ნაბიჯებს ვდგამთ არსაით.

— რამდენიმე რელიგიური და პოლიტიკური კერა, გარესაფთხეები — ვინ ისარგებლებს ამით, ვინ დარჩება წაგებული და პირდაპირ ვთქვათ, ვინ არის ის გარემტერი, ვინც, შეიძლება, ამ ყველაფერს პროვოცირებდეს?

— წაგებული ხალხი და ქვეყანა დარჩება. ყველზე მეტად ხელისუფლება დაზარალდება, რადგან ქვეყანაში დესტრუქცია არ აწყობს. გარემტრის გამოცნობა მარტივია: ეს პროცესი სხვადასხვა რელიგიური წარმომადგენლობებისგან ნაკლებადაა მართული. თაოსანი არც მართლმადიდებლური ეკლესიის წევრია და არც სხვა აღმსარებლობის მიმდევარი. ყველა რელიგია დაუცველი გახდა საქართველოში და დღეს ყველა ერთნაირად დავზარალდით, მეც, ისლამისტიც და სხვებიც. დღეს, საქართველოში ქაოსი, რუსების გარდა, არავის აწყობს. საქართველოში თანხები ჩადო შტატებმა, ევროკავშირმა და ამ ქვეყნის ნგრევა, თუნდაც მხოლოდ ეკონომიკური კუთხით, სხვას არავის აინტერესებს, მათ შორის, არც აზიურ და ისლამურ სახელმწიფოებს, რომლებთანაც შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს. აი, რუსეთი კი მას მერე, რაც ევროპის ნაწილი გვინდა გავხდეთ და ამ მიზნისკენ მივდივართ, განსაკუთრებით აქტიურად ნერგავს ჩვენს სამეზობლოში იდელოგიას, რომ საქართველო კავკასიის წევრი ქვეყანა აღარ არის!

ქართული პოლიტიკა მაგდანას ლურჯას მოტივებზე

გიორგი იაშვილი

ქართუმი მხატვრული ფილმი „მაგდანას ლურჯა“ ბავშვობიდან არ მიყვარს. ფილმში კეთილი ვერ იმარჯვებს, ბოროტის გამარჯვება კი რატომ უნდა მომწონებოდა? დიდი ხანია „მაგდანას ლურჯა“ არ მინახავს და მივხვდი, რომ არც ქართული ტელევიზიების მამები სწყალობენ ამ ფილმს. არადა, დღეს ქართულ პოლიტიკაში შექმნილი ვითარება ძალიან ჰგავს ამ ფილმს და კონკრეტულად მის პერსონაჟ ლურჯას. ახლა არ დამიწყოთ, ეთიკის ფარგლებში დარჩი, ლურჯა პოლიტიკასთან რა მოსატანია — საქართველო პარადოქსების ქვეყანაა, ბატონებო. ლურჯა არც შაურმასთან უნდა ყოფილიყო კავშირში, მაგრამ იმდენი მოვახერხეთ, კონკრეტულად ამ ფილმს ლამის „მაგდანას შაურმა“ დაერქვა.

მახსოვს, ერთი პერიოდი ქართული პოლიტიკა ისეთ გზას ადგა, ევროპამ თუ ამერიკამ მენახშირე ვაჭარივით დაიყვირა „ხევში, ხევში გადააგდეთო“, მაგრამ გადასაგდებად ვერ გავიმეტეთ (ეგებ ჯობდა). სხვა ბატონისგან მოპარული ბალახით გამოვკვებეთ, დავბანეთ, დავვარცხნეთ და ევროპას ისე ვანახეთ, გაოგნებული დარჩა. მერე იყო, ევროპა-ამერიკისთვის საზიდი „მაწვნის“ მოგროვება მეზობლებში რომ დავიწყეთ და ლურჯას იმაზე მეტი ავკიდეთ, ვიდრე ზიდვა შეეძლო. არადა, ერთხელ რომ დავარდა, კი უნდა გვესწავლა წესითა და რიგით ჭკუა, მაგრამ ნურას უკაცრავად, ვერაფერი ვისწავლეთ. მოკლედ...

„თუკი რუსეთსა და აფხაზეთს შორის, მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ ხელშეკრულება დაიდება, ჩვენს მიერ შეფასდება როგორც საქართველოს ანექსიის მცდელობა“, — ეს განცხადება საგარეო საქმეთა მინისტრმა, მაია ფანჯიკიძემ გააკეთა.

თავიდან კი ვიფიქრე, ქალბატონი მაია ან უხასიათოდ არის, ან ჯიუტობს (დიდი ხანია პოლიტიკაშია და ლურჯას გათვალისწინებით...) და მრჩევლებს ყურს არ უგდებს-თქო, მაგრამ მერე სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს განცხადება წავიკითხე, სადაც ამბობენ, რომ თურმე მათ პოზიციასაც საგარეო საქმეთა სამინისტრო დააფიქსირებს და... ყურები ჩამოვყარე. ჰო, ლურჯასავით...

ქალბატონო მაია და დანარჩენებო, თქვენს მიერ რუსეთის მხრიდან განხორციელებული ქმედებები აქამდე თუ არ არის შეფასებული, როგორც საქართველოს ანექსიის მცდელობა, ახლა ეგ თქვენი განცხადება, გნებავთ, ღობის იქით დააბით, გნებავთ აქეთ, მაინც არაფერი გამოვა. სანამ ლურჯა ხეზე არ ავა, მანამ არ შეაწუხებს რუსეთს სინდისი თქვენი განცხადების გამო და თუ ამ განცხადებით გსურთ ამ ყველაფრის მიფუჩეჩება, ბარაქალა თქვენ.

ახლა ვიღაც იტყვის, აბა, მეტი რა ქნასო და მე გეტყვით, რა უნდა ქნას. რეფერენდუმი უნდა ჩაატარონ, საერთოდ რა გვინდა ჩვენ. ის, რომ ნატო-ში ინტეგრაციას თავის დროზე მოსახლეობის უმრავლესობამ მისცა ხმა, მაინც მოდაზე აყოლა მგონია, თორემ მეეჭვება, ამ ინტეგრაციის მომხრე მოსახლეობის უმრავლესობამ დაახლოებით მაინც იცოდეს, რა ორგანიზაციაა ნატო, რას გვპირდება და ზოგადად, როგორია წესდება, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ სადავო ტერიტორიების მქონე ქვეყანას ნატო-ში შესვლა გაუჭირდება. ჩვენ კი სადავო ტერიტორია ლამის დამტკიცებულზე მეტი გვაქვს და ამიტომ, ნატო-ს კარზე ბრახუნით კიდევ კარგა ხანს გადავიტყავებთ ხელებს.

რეფერენდუმი კიდევ იმიტომ არის საჭირო, რომ ბოლო დროს (მანჩო გიორგობიანს დავესესხები და მერე დავუბრუნებ) ჩვენი „ბომონძღი“ ერთობ უცნაურად იქცევა. იქცევა კი არა, მოიქცა და პოზიცია ღიად დააფიქსირა. ხალხი, რომელიც ღირსების ორდენის არაერთგზის მფლობელია (მიშა ხომ კიდებდა ხოლმე და ზოგს ორჯერ, გააჩნია, როგორ მოეწონებოდა... დაკიდება) და ორიდან ერთ შემთხვევაში ორდენი აფხაზეთზე კლიპის გამო მიიღო, რუსეთში (იმ ქვეყანაში, ფანჯიკიძე და საბჭო ანექსორად გამოცხადებას რომ უპირებენ და აქამდე რა ჰგონიათ, ვერ გეტყვით) ჩავიდა და „ბუტია ხუსთან“ (მე დავარქვი, იმიტომ რომ გვებუტება ხოლმე, როცა მამა-მარჩენალს შეუგინებენ) ერთად ითბილისა. ჰოდა, ის მაინტერესებს, ეს ადამიანები რეფერენდუმში ვის მისცემენ (ხმას) და რაც მთავარია, ეს მიცემა ისევე ღია უნდა იყოს, როგორც მოსკოვური „ტიფლისობა“. აი, მერე გაირკვევა, რუსეთი ანექსორად უნდა გამოვაცხადოთ თუ მეგობრად და ზოგადად, ლურჯას მაწონი სად უნდა ვაზიდვინოთ. თორემ ასე რა გამოვა, ტვირთს აქ ვკიდებთ, კარდაკარ დავატარებთ და იმის გასაღებას ვცდილობთ, რაც ჩვენი არ არის. გამოჩნდება ვინმე და ლურჯას თავის ტვირთიანად წაგვართმევს და იმასაც დაგვიმტკიცებს, რომ ეს ჩვენი „საზიდარი“ ყოველთვის მაგათი იყო და უბრალოდ დროებით სარგებლობაში გვქონდა.

P.S. (პოსლე სკაზანნოე) „მაგდანას ლურჯას“ ოპერატორები ლევ სუხოვი და ალექსანდრე დიღმელოვი არიან და ვინმე გვეტყვის ოდესმე, ქართული პოლიტიკის ოპერატორების გვარებს?!



მაია მიშელაძე
593-51-90-12

ვინ არის და რა ქონებას ფლობს ალექსანდრე მაშკევიჩი?

რა პროექტებს განახორციელებს ბიძინა ივანიშვილის მეგობარი ბიზნესმენი საქართველოში?

ორი დღის წინ, თბილისში ებრაელი მილიარდერი, ალექსანდრე მაშკევიჩი იმყოფებოდა. ბიძინა ივანიშვილის მეგობარი ბიზნესმენი- საქართველოში ინვესტიციების ჩადებას ფარმაცევტულ სფეროში აპირებს. 14 ოქტომბერს, გვიან საღამოს, რესტორან „ფაეტონში“, ალექსანდრე მაშკევიჩი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს დავით სერგეენკოს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს გიორგი კვირიკაშვილსა და საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერს, დავით საგანელიძეს შეხვდა. ამ შეხვედრაზე ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილიც იმყოფებოდა.

„ფაეტონში“ შეხვედრის კულუარული დეტალები

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ, მიმდინარე წლის 19 სექტემბერს, მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა: **„ჩვენ ინტენსიურად ვმუშაობთ, რომ საქართველოში დაფუძნდეს სამედიცინო საშუალებებისა და მედიკამენტების ხარისხის კონტროლის მწყობრი, თანამედროვე სისტემა. ეს საშუალებას მოგვცემს, ფარმაკოლოგიური ბაზარი გაიხსნას, შემოვიდნენ ახალი კომპანიები და გაიზარდოს კონკურენცია“.**

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, თანაინვესტირების ფონდის ერთ-ერთი დამფუძნებელი, მილიარდერი ალექსანდრე მაშკევიჩი ინვესტირებას საქართველოს ჯანდაცვის სფეროში აპირებს. სერგეენკოს განცხადებიდან ზუსტად ერთ თვეში, 14 ოქტომბერს, ბიძინა ივანიშვილის მეგობარი ალექსანდრე მაშკევიჩი თბილისში ჩამოდის. სერგეენკოსთან ერთად, ისრაელისა და კანადის მოქალაქე მილიარდერი, რესტორან „ფაეტონში“, გიორგი კვირიკაშვილს, დავით საგანელიძესა და ვანო ჩხარტიშვილსაც ხვდება.

რა უნდოდა ამ შეხვედრაზე ვანო ჩხარტიშვილს, მით უფრო მაშინ, როდესაც ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, ბიძინა ივანიშვილსა და ბიზნესმენს შორის, შავმა კატამ გაირბინა? 2011 წლის ოქტომბერში, როდესაც ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლა გვამცნო, ნაციონალებისგან შერისხული ვანო ჩხარტიშვილი გააქტიურდა და დაკარგული ქონების დაბრუნების იმედიც გაუჩნდა. პარალელურად, ჩხარტიშვილსა და ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს შორის ვითარება დაიძაბა. „ვერსიაში“ ვნერდით, რომ პატარკაციშვილის ქვრივი ინა გუდავაძე, ჩხარტიშვილს კუთვნილი ქონების მითვისებაში ედავებოდა. თავის მხრივ ჩხარტიშვილი ამტკიცებდა, რომ გარდაცვლილი ბიზნესმენის ქონება არ მიუთვისებია. საუბარია რამდენიმე კომპანიაზე, რომლებიც ფოთის პორტის ტერმინალებს ფლობს...

გარდაცვლილი ბიზნესმენის ოჯახსა და ჩხარტიშვილს შორის პაექრობა ჩაცხრა. ეს უკანასკნელი კი, დიდი ხანია, აღარ გამოჩენილა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჩხარტიშვილს ივანიშვილი შემოსწყრა და შესაბამისად, ქონების დაბრუნების იმედიც გაუქრა. ახლა კი მოულოდნელად, ბიზნესმენი იმ შეხვედრას ესწრება, რომელსაც ივანიშვილის მეგობარი მილიარდერი „ფაეტონში“ მართავს. „ვერსიის“ ინფორმაციით, ვანო ჩხარტიშვილი ბიძინა ივანიშვილსა და ბადრი პატარკაციშვილის ოჯახთან სწორედ ალექსანდრე მაშკევიჩმა „შეარიგა“.

ორიოდე წლის წინ, ვანო ჩხარტიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ტელეკომპანია „მზის“ დაბრუნებასა და საერთაშორისო სასამართლოში საქართველოს ექსპრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ სარჩელის შეტანას გეგმავდა. ტელეკომპანია „მზის“ აქციები და საკონტროლო პაკეტი ვანო ჩხარტიშვილმა, საკუთარი სურვილით დაუთმო დავით ბეჟუაშვილს და თვითონ „სოკარში“ გადაინაცვლა. მას შემდეგ, რაც საქართველოს ბაზარზე, თავდაცვის ექსმინისტრის, დავით კეზერაშვილის „გალფი“ შემოვიდა, რომელმაც რამდენიმე ბენზინგასამართი სადგური „გადაყლაპა“, „სოკარიც“ საგრძნობლად „შეავიწროვა“. საბოლოოდ, ჩხარტიშვილმა „სოკარში“ კუთვნილი წილიც დათმო და ეს კომპანია დატოვა.

2010 წელს, როდესაც „ენერჯი ინვესტის“ (ყოფილი „აზოტის“) ქარხნის დირექტორი, გენო მალაზონია დააკავეს. ნაციონალური მოძრაობის მაღალჩინოსნები, „ბამბა რუმსის“ ერთ-ერთ მფლობელ მალაზონიას, თაღლითობასა და ფულის გათეთრებაში სდებდნენ ბრალს და ამ საქმეზე პროკურატურაში, ვანო ჩხარტიშვილიც დაიბარეს. ზურაბ ნოღაიდელის ინფორმაციით, თავისუფლების სანაცვლოდ, ნაციონალური ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა, ჩხარტიშვილს 50 000 000 დოლარი მოსთხოვეს...

საინტერესოა, რის სანაცვლოდ შეარიგა მაშკევიჩმა ივანიშვილი და ჩხარტიშვილი? „ფაეტონში“ შეხვედრის შემდეგ, „ვერსია“ ლოგიკურ კითხვას სვამს, დაიბრუნა თუ არა ჩხარტიშვილმა კუთვნილი ქონება, ან აპირებს თუ არა საქართველოს ექს-პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, საერთაშორისო სასამართლოში უჩივლოს?

რა კავშირი აქვს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერს, ბიძინა ივანიშვილის მეგობართან? რა უნდოდა რესტორანში დავით საგანელიძეს მაშინ, როდესაც მხარეები სამომავლო საინვესტიციო პროექტებზე მსჯელობდნენ? არც ისე დიდი ხნის წინ „ქართული ოცნება“ განვითარების სახელმწიფო ბანკის შექმნას აპირებდა, რომლის ხელმძღვანელიც, სავარაუდოდ, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე უნდა ყოფილიყო. საგანელიძე, როგორც საქართველოს პარლამენტის ჩინეთთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელი, არაოფიციალური ვიზიტით ჩინეთშიც კი იმყოფებოდა, სადაც ამ ქვეყნის განვითარების ბანკის ვიცე-პრეზიდენტს, ლი გი პინგს შეხვდა. საგანელიძე, პრემიერ-მინისტრთან არსებულ ეკონომიკურ ჯგუფთან ერთად, თავიდანვე ჩართული იყო იმ მუშა პროცესში, რასაც ბანკის ფუნქციების განსაზღვრა და კონცეფციის შემუშავება მოითხოვდა. მართალია, ხელისუფლებამ განვითარების სახელმწიფო ბანკის შექმნა გადაიფიქრა, მაგრამ ფაქტია, საგანელიძეს ამ ბანკის კონცეფციაზე მუშაობა, ალექსანდრე მაშკევიჩთან „ფაეტონში“ გამართულ შეხვედრაში მონაწილეობით „დაუფასდა“.

„ვერსიის“ ინფორმაციით, გამორიცხული არ არის, რომ ფარმაცევტული სფეროს გარდა, ალექსანდრე მაშკევიჩმა ინვესტიციები საქართველოს ენერგეტიკაშიც განახორციელოს. მილიარდერი ბიზნესმენის კუთვნილი კომპანიების ძირითადი მიმართულებებია ენერგეტიკული პროექტები, სამთო მეტალურგია, ტრანსპორტი და ფარმაცია. კულუარული ინფორმაციით, რესტორანში სწორედ ამ საკითხებზე იმსჯელეს, რასაც მაშკევიჩთან შეხვედრაში სერგეენკოსა და კვირიკაშვილის მონაწილეობაც ადასტურებს.

ვინ არის ალექსანდრე მაშკევიჩი?

„ფორბსის“ სიაში, 60 წლის ებრაელი მილიარდერი ალექსანდრე მაშკევიჩი, ისრაელის უმდიდრეს მოქალაქეებს შორის, 3.7 მილიარდი დოლარის კაპიტალით, მე-6 ადგილზეა. ალექსანდრე ანტონის-ძე მაშკევიჩი, 1954 წლის 23 თებერვალს, ყირგიზეთში, ქალაქ ბიშკეკში დაიბადა. დედა — რახელ იოფა, ყირგიზეთის ერთ-ერთი ცნობილი ადვოკატი, ხოლო მამა — ანტონ მაშკევიჩი, რომელიც წარმოშობით ლიტვიდანაა, პროფესიით ექიმი იყო. მილიარდერის მშობლებმა ერთმანეთი 1941 წელს, ყირგიზეთში ევაკუაციის დროს გაიცნეს და საცხოვრებლადაც ამ რესპუბლიკაში დარჩნენ. სკოლა და უნივერსიტეტი ალექსანდრე მაშკევიჩმა ყირგიზეთში დაამთავრა, იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და რამდენიმე წლის განმავლობაში, ყირგიზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანიც იყო.

ალექსანდრე მაშკევიჩი ბიზნესით 1988 წლიდან დაინტერესდა, 1990 წლიდან კი „სეაბეკო ჯგუფის“ ვიცე-პრეზიდენტია მოსკოვსა და მოგვიანებით, ბელგიაში. 1995 წლიდან, საცხოვრებლად ყაზახეთში გადადის და სულ მალე, ამ ქვეყნის ერთ-ერთი უმსხვილესი მეწარმე ხდება. მაშკევიჩის კომპანიების საქმიანობის სფერო ყაზახეთის ალუმინის, რკინისა და ქრომის წარმოებაა. ამ დარგების განვითარებას ბიზნესმენი რუსეთსა და უკრაინაშიც ხელს უწყობს. მეტიც, მაშკევიჩი ენერგეტიკულ პროექტებსაც ახორციელებს, რადგან ასტანაში რამდენიმე ელექტროსადგურს ფლობს.

2000 წლიდან მაშკევიჩი ევრაზიის მეწარმეთა კავშირის თავმჯდომარეა. ამავე წელს, მისი ინიციატივით, ყაზახეთში ებრაელთა კონგრესი იქმნება. პარალელურად, ევროპისა და მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის აღმასრულებელ კომიტეტშიც საქმიანობს. 2011 წელს, ებრაელთა ევრო-აზიური კონგრესის თავმჯდომარის თანამდებობა დატოვა. მაშკევიჩს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ყაზახეთის პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევსა და ისრაელის პრეზიდენტ შიმონ პერესთან.

ალექსანდრე მაშკევიჩი სამთო-მეტალურგიულ იმპერია — Eurasian Natural Resouroes Corp-ს ფლობს, რომელიც მსოფლიო ბაზრის გლობალური მოთამაშეა. მისივე საკუთრებაშია სოკოლოვსკო-სარბაისკის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატიც, სადაც რკინის მადანს მოიპოვებენ. პროდუქციის რეალიზაცია რუსეთის ბაზარზე წარმატებით ხორციელდება.

ალექსანდრე მაშკევიჩი ისრაელისა და კანადის მოქალაქეა. სამთო-მეტალურგიის, რკინის მადნისა და ელექტროსადგურების გარდა, მილიარდერი ტვირთების ტრანსპორტირების ბიზნესშიც აქტიურადაა ჩართული. მის საკუთრებაშია ლითონის მომპოვებელი ბიზნესი და მანქანათმშენებელი ქარხანა ყაზახეთში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ უცხოელი მკვლევარის, ევა ანდერსონის ინფორმაციით, ალექსანდრე მაშკევიჩს ბელგიაში ფულის გათეთრებასა და თაღლითობაში სდებდნენ ბრალს. 2011 წლის ივნისში, ბელგიის სახელმწიფო პროკურორმა, ჯარიმის სანაცვლოდ, მაშკევიჩსა და მის ორ ბიზნესპარტნიორს ფულის გათეთრებისა და თაღლითობის ბრალდება მოუხსნა. მკვლევარის ინფორმაციით, ბელგიაში ეს ერთ-ერთი, ყველაზე ხანგრძლივად მიმდინარე სასამართლო საქმე იყო.

მაშკევიჩი-ივანიშვილის ბიზნესკავშირი

ქართული „ფორბსის“ ინფორმაციით, 2004 წელს, მაშკევიჩს საქართველოში ინვესტიციების ჩადება სურდა. ამ მიზნით, მისმა კომპანიამ ტენდერშიც მიიღო მონაწილეობა, რათა ზესტაფონის „ფეროს“, „ჭიათურმანგანუმისა“ და ვარციხეჰესების კასკადის ერთიანი საპრივატიზებო პაკეტი მოეპოვებინა. როგორც ჩანს, მაშკევიჩს სააკაშვილი დიდად არ „სწყალობდა“, რადგან ტენდერში მონაწილეობის მიუხედავად, მისი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა.

ალექსანდრე მაშკევიჩს საქართველოში ახლო ურთიერთობა აქვს საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატის ხელმძღვანელ იციკ მოშესთან. 2009 წელს, ალექსანდრე მაშკევიჩის კაპიტალით, თბილისის უძველესი სინაგოგა აღადგინეს, რომელსაც ბიზნესმენის დედის საპატივსაცემოდ, „ბეით რახილი“ უწოდეს. სინაგოგის გახსნას მაშკევიჩი თავად დაესწრო და თბილისში ვიზიტისას, საქართველოს პატრიარქ ილია მეორესაც შეხვდა. სინაგოგის გახსნის ცერემონიალში კი საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც მონაწილეობდა.

ბიძინა ივანიშვილსა და ალექსანდრე მაშკევიჩს დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ. ამის შესახებ ივანიშვილმა მაშინ განაცხადა, როდესაც 2013 წელს, მისივე ინიციატივით, 6 მილიარდიანი თანაინვესტირების ფონდი იქმნებოდა. თანაინვესტირების ფონდს რთული მფლობელობისა და მმართველობის სტრუქტურა აქვს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ უცხოელი მკვლევარის, ევა ანდერსონის ინფორმაციით, ეს ფონდი კაიმანის კუნძულებზეა რეგისტრირებული. თანაინვესტირების ფონდს ორი შვილობილი კომპანია ჰყავს, ლუქსემბურგსა და ჰონგ-კონგში. კაიმანის კუნძულებზე დაგროვებული კაპიტალი საქართველოში ინვესტიციად, სწორედ ამ ორი კომპანიიდან ერთ-ერთის გავლით ჩაიდება. ფონდს ქართული კომპანია, შპს „ჯი სი ეფ პარტნიორები“ მართავს. ამ კომპანიაში 42%-იან წილს, თანაინვესტირების ფონდის დირექტორი, გიორგი ბაჩიაშვილი, 16%-იან წილს ლევან ვასაძე, ხოლო დარჩენილ 42%-ს უჩა მამაცაშვილი ფლობს.

რაც შეეხება თანაინვესტირების ფონდის ინვესტორებს, მათ შორისაა „დაბი ჯგუფი“ (Dhabi Group – არაბთა გაერთიანებული საამიროები), რას ალ ხაიმას საინვესტიციო სამმართველო „რაკია“ (RAK Investment Authority – არაბთა გაერთიანებული საამიროები), აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობის ფონდი, ბათუმის ინდუსტრიული ჰოლდინგი (Batumi Industrial Holdings Limited, რომელსაც ყაზახეთის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული KazTransOil ფლობს), „ჩალიკ ჰოლდინგი“ (Calik Holdings AS – თურქეთი), „მაილსტოუნ ინთერნეიშენალ ჰოლდინგს გრუპი“ (Milestone International Holdings Group Limited – ჩინეთი). ამ კომპანიების გარდა, თანაინვესტირების ფონდის ინვესტორები არიან ბიძინა ივანიშვილი, ალექსანდრე მაშკევიჩი და ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი.

მაშკევიჩის ბიზნესინტერესი საქართველოში

ყაზახური მედიის წარმომადგენლები არ გამორიცხავენ, რომ საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე, ალექსანდრე მაშკევიჩი MEDICAL ASSISTANCE GROUP-ით შემოვა. ზუსტად ერთი წლის წინ, 2013 წლის შემოდგომაზე, ბიძინა ივანიშვილმა საქართველოში უმსხვილესი ფარმაცევტული კომპანიის შემოსვლა დააანონსა. ივანიშვილის განცხადებით, ამ კომპანიას მისი ძველი მეგობარი ხელმძღვანელობს, რომელსაც უკვე აუხსნა, რომ საქართველოში შემოსვლის შემდეგ, მედიკამენტები მაქსიმალურად უნდა გაიაფდეს.

ყაზახური მედიის ინფორმაციით, კომპანია MEDICAL ASSISTANCE GROUP ალექსანდრე მაშკევიჩის სახელს უკავშირდება. ეს არის მრავალპროფილური კლინიკა, რომელიც სადაზღვევო კომპანია „ევრაზიის“ პირველ სამედიცინო ცენტრს წარმოადგენს. სამედიცინო ცენტრს საკუთარი აფთიაქებიც აქვს, სადაც მედიკამენტები ყველაზე ხელმისაწვდომ ფასად იყიდება.

ბიძინა ივანიშვილის შარშანდელი განცხადებით, მისი ერთ-ერთი მეგობრის, უცხოელი ბიზნესმენის პროექტის შედეგად, საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე ფასები მნიშვნელოვნად გაიაფდება: **„მე უკვე მქონდა მოლაპარაკება ცნობილ ბიზნესმენთან, ჩემს მეგობართან, რომელიც ჩემი ძველი ნაცნობია. იქნებ, ფართო მოხმარების წამლებზე მოვახერხოთ ფასების შემცირება, რაც კიდევ უფრო გაუიოლებს მოსახლეობას, საკუთარ ჯანმრთელობას მიხედოს“.**

ბიძინა ივანიშვილის ამ განცხადებიდან ერთი წლის შემდეგ, 2014 წლის 9 ოქტომბერს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო მედიასთან შეხვედრის დროს ამბობს, რომ ჯანდაცვის სფეროში ახალი ინვესტიცია შემოდის, რომელსაც ბიზნესმენი ალექსანდრე მაშკევიჩი განახორციელებს: **„ეს არის მედიკამენტების ხარისხის კონტროლის სისტემის შექმნა, ვინაიდან ამ სფეროსთვის დამატებითი რესურსები დაგვჭირდა. გარდა ამისა, ინვესტიცია განხორციელდება პირველადი ჯანდაცვის სწორ დაგეგმარებაშიც. აქ იგულისხმება პოლიკლინიკები და სოფლის ამბულატორიები“.**

დავით სერგეენკომ ისიც დააზუსტა, რომ მართალია, ინვესტიციის ოდენობა უცნობია, მაგრამ საქართველოს სოფლებში 81 ახალი ამბულატორიის მშენებლობა უკვე დაგეგმილია.

ბიზნესის ხელშეწყობა ქართულად ანუ რატომ აკოტრებს თავდაცვის სამინისტრო „ვენკოს“

ლევან ღვინაშვილი

ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ (პრინციპში, რაღა ახალი, აგერ, მესამე წელმა დაიწყო ათვლა), ერთ-ერთი პირველი განცხადება ის იყო, რომ საქართველოში ბიზნესის ტერორი და ბიზნესმენთათვის ხელშეშლა წარსულს ჩაბარდა. რა უფლება გვაქვს, ეს არ დავიჯეროთ, მაგრამ ახლა ის შემთხვევაა, როცა ფიცი გვწამს და... ლეიბი გვაკვირვებს. სწორედაც რომ ლეიბი და არა ბოლო, რადგან, კაცმა არ იცის, როგორი იქნება ეს ბოლო და საერთოდ, უნდა გავიოცოთ თუ არა.

საქმე შპს „ვენკოსა“ და ალასანიას უწყებას შორის არსებულ დავას ეხება. უფრო კონკრეტულად კი, ყველაფერი 2013 წელს ჩატარებული ტენდერის შემდეგ დაიწყო. თავდაცვის უწყებას 8 500 ერთეული არასტანდარტული მატრასის შესყიდვა სურდა. ტენდერში შპს „ვენკოს“ გამარჯვების შემდეგ, მხარეებს შორის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის მიხედვით კომპანიას მატრასების ეტაპობრივად მიწოდების ვალდებულება დაეკისრა. ერთი მატრასის ფასად შპს „ვენკომ“, სამინისტროს გამოცხადებული 100-ის ნაცვლად, 69.65 ლარი განსაზღვრა, რაც, დაგვეთანხმებით, სამინისტროსთვის სერიოზული შეღავათი უნდა ყოფილიყო, თუმცა...

,,ვენკოსა“ და სამინისტროს შორის დავა თავიდანვე დაიწყო, რადგან გამარჯვებულ ,,ვენკოს“ თავდაცვამ, გაუგებარი მიზეზების გამო, დისკვალიფიკაცია მისცა და გამარჯვებულად ტენდერში მონაწილე მეორე კომპანია გამოაცხადა. საკუთარი უფლებების დასაცავად ,,ვენკომ“ ბრძოლა დაიწყო, რის შემდეგაც სამინისტრო იძულებული გახდა, კომპანია ტენდერში გამარჯვებულად ეცნო და აღადგინა. სავარაუდოდ, თავდაცვა ამ ფაქტმა გააღიზიანა, რის გამოც ,,ვენკოს“ ჯიბრში ჩაუდგა.

გამარჯვებულმა ფირმამ ანუ „ვენკომ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება ისე დაიწყო, როგორც მითითებული გახლდათ. პირველ ეტაპზე სამინისტრომ 59 550 ლარის ღირებულების 855 ცალი მატრასი მიიღო, მეორე ეტაპზე კი „ვენკომ“ მიწოდების ვადის გაზრდა მოითხოვა. საქმე ისაა, რომ თურქული ქარხანა, რომლისგანაც „ვენკო“ შესყიდვას ახორციელებდა, უბრალოდ დაიწვა. „ვენკომ“ სამინისტროს თხოვნით მიმართა და აღნიშნულის ფორსმაჟორად ჩათვლა მოითხოვა, თუმცა მიუხედავად კომპანიის თხოვნისა, სამინისტრომ არ დააკმაყოფილა „ვენკოს“ მიმართვა და ქარხანაში ხანძარი რელევანტურ მიზეზად არ ჩათვალა. სხვათა შორის, თავდაცვის უწყებამ უარი საინტერესოდ დაასაბუთა — მათ აღნიშნეს, რომ ხანძარი 10 აპრილს მოხდა და ეს მაშინ, როცა „ვენკომ“ ტენდერი 12 აპრილს მოიგო. ჯერ ერთი, რამდენად მოახერხებდა „ვენკო“, ორ დღეში გაერკვია, დაიწვა თუ არა თურქეთში რამე და მეორეც — 10 აპრილისთვის „ვენკოს“ ტენდერი უკვე მოგებული ჰქონდა, უბრალოდ, თავდაცვის სამინისტრომ ბათილად სცნო და, როცა კომპანიამ გაასაჩივრა და მოგებული ტენდერი ოფიციალურად დაუმტკიცდა, მერე გაირკვა ხანძრის საქმე, თუმცა...

„ვენკოს“ ხელმძღვანელები ბედს არ შეეგუვნენ, კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება, ეყიდა მატრასების დანადგარი და თავად დაემზადებინა პროდუქცია, რათა ვადები არ გადაეცილებინა. ანუ, რეალურად, „ვენკომ“ ახალი საწარმო გახსნა საქართველოში, რაც ნიშნავდა, რომ მატრასები მხოლოდ თავდაცვისთვის კი არა, სასჯელაღსრულების დაწესებულებებისა და დევნილებისთვისაც საქართველოში დამზადდებოდა. გასაგებ ენაზე ამას ადგილობრივი ბიზნესწარმოება ჰქვია. თითქოს ყველაფერი თავის ადგილზე დადგა, მაგრამ თურქეთში გაფიცვების ტალღა დაიწყო და „ვენკომ“ უკვე მატრასები კი არა, მისი დასამზადებელი პროდუქციაც ვერ შემოიტანა საქართველოში. კომპანიამ თავდაცვის უწყებას ვადების გაზრდის მოთხოვნით მეორედ მიმართა და მიზეზად თურქეთში მიმდინარე პროცესები დაასახელა, თუმცა ამჯერად, პასუხი საერთოდ არ მიიღო ანუ თავდაცვა ამ თემას ამაყი დუმილით შეხვდა.

როგორც კომპანიის იურისტი განმარტავს, სამოქალაქო წესების მიხედვით, პასუხის არდაბრუნება კომპანიისთვის ნიშნავდა, რომ ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდა, რის გამოც „ვენკომ“ მუშაობა და საავანსოდ მიღებული თანხების ხარჯვაც განაგრძო. თურქულმა მხარემ მალე გაარკვია ყველაფერი და ფირმამ მატრასების მორიგი პარტიის დამზადება შეძლო. ფირმამ ადგილამდე მიიტანა მატრასები, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე სამინისტრომ მატრასები მიითვალა, შემდეგ კი გაირკვა, რომ კომპანიასთან თავდაცვის სამინისტროს ხელშეკრულების ვადა გასული აქვს, ამიტომ 570 მატრასი „ვენკოს“ უკან დაუბრუნდა.

როგორია?! უფრო სწორედ, რავარია?!

გამოვიდა ისე, რომ სამინისტროს მიერ კომპანიისთვის შეტყობინებების დროულად არგაგზავნის გამო შპს „ვენკომ“ საავანსოდ გამოყოფილი თანხა 592 ათასი ლარი სრულად, თუმცა მიზნობრივად გახარჯა, დღეს კი სამინისტრო ამ თანხის დაბრუნებას ითხოვს, იმ მიზეზით, რომ შესაბამისი ოდენობის პროდუქცია არ მიუღია. კომპანია თავის მხრივ, სამინისტროს სთავაზობს, ჩაიბაროს მატრასები, რომლებიც კომპანიას უკვე მზად აქვს, ვადაგადაცილებული პროდუქციის მისაღებად კი სამინისტრომ „ვენკოს“ პირგასამტეხლო და ჯარიმა დააკისროს. რაც შეეხება დარჩენილ თანხას, ,,ვენკო“ მზად არის, დააბრუნოს. საქმე სასამართლომდეა მისული და რას გადაწყვეტს თემიდა, კაცმა არ იცის.

ამ ეტაპზე შპს „ვენკოს“ თურქეთში 4700 მატრასის შესყიდვის თანხა აქვს გადარიცხული, 2400 მატრასის მასალა კი თავისი დანადგარისთვის აქვს ნაყიდი. თუ სამინისტრო მატრასების ჩაბარებაზე უარს იტყვის, კომპანიას საკმაოდ დიდი ოდენობის ზარალი მიადგება და უბრალოდ, არსებობას შეწყვეტს.

შპს-ს წარმომადგენლებს აინტერესებთ, რატომ გაუუქმდა ხელშეკრულება „ვენკოს“, რაზეც ირაკლი ალასანიას უწყება აცხადებს, რომ თურმე ხელშეკრულება არ გაუქმებულა და 2014 წლის 15 ივლისს მოქმედების ვადა ამოეწურა.

კომპანიას ასევე აინტერესებდა, რატომ უთხრა უარი სამინისტრომ შპს „ვენკოს“, ფორსმაჟორული სიტუაციის გამო პროდუქციის მიწოდებაზე ვადა გახანგრძლივებულიყო და რატომ არ ჩათვალა სამინისტრომ ფორსმაჟორად თურქეთის ქარხანაში მომხდარი ხანძარი?

თურმე, ე.წ. ფორსმაჟორული სიტუაცია, რომელსაც ადგილი ჰქონდა, მოხდა ხელშეკრულების გაფორმებამდე. კომპანიამ თავდაცვის სამინისტროსთან ხელშეკრულება დადგენილი მიწოდების ვადებით ხანძრის შემდეგ გააფორმა. შესაბამისად, სამინისტროსთვის გაუგებარია ხელშეკრულების დადებამდე მომხდარ ფაქტს როგორ უნდა მოეხდინა გავლენა მიწოდების ვადებზე.

ხოლო კითხვაზე, რატომ დაუბრუნა სამინისტრომ ადგილზე მიტანილი მატრასები „ვენკოს“, სამინისტრო ძალიან საინტერესო პასუხს იძლევა: **„საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შპს. ,,ვენკოს“ შორის გაფორმებული №155 (12.04.13ნ) ხელშეკრულების საფუძველზე, მიმწოდებელს პროდუქცია ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 კალენდარული დღის განმავლობაში ერთჯერადად უნდა მოეწოდებინა 8500 ცალი ლეიბი (მატრასი) საერთო თანხით 592 000 ლარი. მომწოდებლის მიერ შემოტანილი იქნა 1759 ცალი ლეიბი (მატრასი), რომელი რაოდენობიდანაც 855 ცალი აყვანილი იქნა შემოსავალში, ხოლო დანარჩენი 904 ცალი ინახებოდა დროებით შენახვაზე, რადგან მომწოდებელმა ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში ვერ წარმოადგინა საფინანსო დოკუმენტაცია ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდგომ 904 ცალი ლეიბი (მატრასი) დაუბრუნდა უკან“**.

საინტერესოა ისიც, რატომ არ ეცნობა კომპანიას დროულად, რომ ხელშეკრულება გაწყვეტილი იყო. ამის გამო კომპანიამ ავანსად გაცემული თანხის ხარჯვა განაგრძო.

ალასანიას უწყება ,,ვენკოს“ მიერ 11 ივნისს მიწერილ წერილს საერთოდ არ ახსენებს და აცხადებს, რომ წერილი 19 აგვისტოს მიიღეს, როცა ხელშეკრულების ვადა უკვე ამოწურული იყო.

რეალობა ასეთია — შპს „ვენკომ“, რომლის მფლობელებმაც თითქმის შეუძლებელი შეძლეს და საბოლოოდ საქართველოში მატრასების მწარმოებელი ქარხანა შექმნეს, შესაძლოა არსებობა სრულად შეწყვიტოს და ეს მხოლოდ იმის გამო, რომ თავდაცვის სამინისტროს შეკვეთილი მატრასების მიღება არ სურს, რადგან თურმე ვადებია გადაცილებული. გაითვალისწინეთ, რომ საუბარი არ არის ხარისხზე ან სხვა რამე წუნზე, უბრალოდ თავდაცვის უწყება ჯიუტად აპელირებს ვადებზე და ვნახოთ, რა იქნება. ჩვენ კი ეჭვი გვაქვს, რომ „ვენკოს“ მაგალითი ბიზნესზე დადებით გავლენას ვერ მოახდენს, თუ არადა, აგერ, მატრასი და ხვალეო.

,,ვენკო“ დანებებას არ აპირებს და თუ სამართალს საქართველოში ვერ იპოვის, ალასანიას უწყების წინააღმდეგ ამ საქმის სტრასბურგის სასამართლოში გასაჩივრებას გეგმავს.

„ნეოკლინიკაში“ თურქი ექიმები ვენების ვარიკოზულ დაავადებებს უახლესი მეთოდით განკურნავენ

თურქი ექიმები უკვე საქართველოში არიან. მომავალი თვიდან, კვირაში სამი დღე (პარასკევი, შაბათი, კვირა) ისინი პაციენტებს სხვადასხვა პროცედურებს მისაღებ ფასად ჩაუტარებენ, მანამდე კი „ნეოკლინიკაში“ პრეზენტაცია მოეწყო — სტუმრებმა დეტალურად ისაუბრეს, რას სთავაზობენ საქართველოს მოქალაქეებს. პრეზენტაციას სამედიცინო ინსტიტუტის თურქი სტუდენტებიც დაესწრნენ, რომლებიც საქართველოში სწავლობენ.

ვენების ვარიკოზული დაავადებით მსოფლიოში არაერთი ადამიანი იტანჯება — მოსახლეობის დაახლოებით 20%, 16-დან 70 წლამდე. საწყის ეტაპზე, თურქი ექიმები, სწორედ ვენური უკმარისობის მკურნალობის პროცედურებს ჩაატარებენ. იქნება ეს მედიკამენტოზური თუ ქირურგიული. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ისინი ვარიკოზული ვენების მკურნალობას სრულიად ახალი მეთოდით — უსისხლოდ, ენდოვენური-რადიოსიხშირული აბლაციით შემოგვთავაზებენ. მარტივად რომ აგიხსნათ, ერთი ჩხვლეტა, კატეტერის შეყვანა და უმტკივნეულო პროცედურა, ვენების ვარიკოზული გაგანიერებისგან სამუდამოდ გაგათავისუფლებთ, თანაც ისე, რომ ნანიბური არ დაგრჩებათ, 6 საათში კი შინ წაბრძანდებით და ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდებით.

„ნეოკლინიკაში“ თურქი ექიმები ვენების სკლეროთერაპიასაც ჩაუტარებენ პაციენტებს და ზედაპირულ, წვრილ სისხლძარღვებსაც მოაშორებენ (ტელეანგიექტაზია) — უახლესი, სპეციალური აპარატით, რადიოსიხშირული ტონებით, „წაშლიან“ კანზე (მათ შორის, სახეზეც) გამოკვეთილ წვრილ სისხლძარღვებს. ეს პროცედურაც უმტკივნეულოა.

გულსისხლძარღვთა დაავადებების ჰოსპიტლის კარდიოქირურგი იბრაჰიმ უიარი აცხადებს, რომ საქართველოში ქართველი ექიმებისთვის გამოცდილების გასაზიარებლად ჩამოვიდა და მომავალში, სერიოზული ქირურგიული ოპერაციების გაკეთებასაც გეგმავს.

იბრაჰიმ უიარი: „ნეოკლინიკაში“ გამოცდილების გასაზიარებლად უკვე ვიყავი. მოგვიანებით, ქართველ ექიმებთან ერთად, ჩვენს კლინიკაში ჩავატარეთ გარკვეული პროცედურები. როდესაც შემომთავაზეს კვირაში სამი დღე — პარასკევი, შაბათი, კვირა — საქართველოში მემუშავა, სიამოვნებით დავთანხმდი — ეს დღეები თავისუფალი ვარ და მინდა, გამოცდილება ქართველ ექიმებს გავუზიარო. თანაც, მინდა, პროცედურები, რომელშიც უკვე გაწაფული ვარ, „ნეოკლინიკაში“ ჩავატარო. აქ ჩემი მეგობრები, პროფესიონალი ექიმები მუშაობენ და მათთან ერთად საწყის ეტაპზე ვენების ვარიკოზულ დაავადებებს სიამოვნებით ვუმკურნალებ.

— საქართველოში უკვე დანერგილია ვენების ვარიკოზული დაავადებების მკურნალობა ლაზერით (ლაზერული აბლაცია). თქვენ მიერ შემოთავაზებულ მეთოდს, რადიოსიხშირულ აბლაციას, რა უპირატესობა აქვს?

— ფილოსოფიურად, მსგავსი პროცედურებია, თუმცა რადიოაბლაცია გაცილებით უსაფრთხო და ეფექტურია. ლაზერმა შეიძლება დააზიანოს სხვა სისხლძარღვი. გარდა ამისა, ლაზერმა შეიძლება გამოიწვიოს ტკივილი და ზოგადი გაუტკივარების გაკეთებაც გახდეს საჭირო, რაც რადიოაბლაციის დროს გამორიცხულია.

— როგორია რადიოაბლაციის ეფექტურობა ციფრებში?

— რადიოაბლაციის პროცედურის ეფექტურობა ძალიან მაღალია. იმედი მაქვს, მალე დავიწყებთ მუშაობას არტერიებზეც. „ნეოკლინიკა“ ამ სერიოზული გამოწვევისთვის მზად არის, როგორც აპარატურით, ასევე პროფესიონალი კადრებით. სწორედ ეს არის მიზეზი, რის გამოც, ამ კლინიკასთან სიამოვნებით ვთანამშრომლობ.

ცნობილი ანგიოლოგი **ილჰან იურდაკული** მიიჩნევს, რომ იმ პროცედურებიდან, რომლებსაც თურქი ექიმები „ნეოკლინიკაში“ მისულ პაციენტებს შესთავაზებენ, ერთ-ერთი ყველაზე „პოპულარული“ სწორედ ვენების რადიოსიხშირული აბლაცია და კოსმეტიკური მკურნალობა იქნება: **„ვარიკოზული ვენების პრობლემა ერთ-ერთი ყველაზე ძველია მსოფლიოში, რომელიც დღესაც არაერთ ადამიანს აწუხებს. თუმცა, პარადიგმა შეიცვალა — თუ ადრე ქირურგიულ ოპერაციას აკეთებდნენ და ვენას კვეთდნენ, დღეს უსისხლო პროცედურები კეთდება. რადიოსიხშირული აბლაცია, რომელსაც პაციენტებს „ნეოკლინიკაში“ შევთავაზებთ, იმის გარანტიას იძლევა, რომ დაავადება სამუდამოდ განიკურნება. ამ მეთოდს ნაკლებად ახასიათებს რეციდივები. ზოგადად, ვენების დაავადებებს აქვს ფართო სპექტრი და შევეცდებით, საქართველოს მოქალაქეებს, ამ მხრივ, ყველა ტიპის პრობლემის გადაჭრაში დავეხმაროთ“.**

ნინო ლურსმანაშვილი

როგორ შევაყვაროთ ბავშვს კითხვა

ფსიქოლოგის რჩევები მშობლებს

ანა ჩავიშევა

ოცდამეერთე საუკუნეში, გლობალიზაციის, პროგრესისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ეპოქაში, ტერმინი — „უწიგნური თაობა“, ცოტა არ იყოს, უცნაურად და პარადოქსულადაც კი ჟერერს, თუმცა ფაქტია — დღეს მოზარდების უმეტესობა უფროდაუფრო ნაკლებად კითხულობს წიგნს და დროის უმეტეს ნაწილს კომპიუტერთან ან ტელევიზორთან ატარებს. პრობლემის გადასაჭრელად საქართველოში რამდენიმე საინტერესო პროექტი განხორციელდა, მაგალითად: „50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“, „მოხეტიალე წიგნები“... საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, ილია II-მ კი, შაბათი წიგნის დღედ გამოაცხადა... პროექტებმა, გარკვეულწილად, „იმუშავა“ და ხალხმა, წიგნის შეძენა დაიწყო, მაგრამ, როგორც სპეციალისტები ამბობენ, უკვე სხვა პრობლემამ იჩინა თავი — წიგნი იქცა აქსესუარად, რომელიც აუცილებლად უნდა გვქონდეს სახლში. წაიკითხავ თუ არა, მნიშვნელობა არ აქვს; ან კონკრეტული მწერალი და ნაწარმოები შემოდის მოდაში და ყველა მას კითხულობს, ისტერიულად. ასე იყო მოდაში პაოლო კოელიო და სტიგ ლარსონი, ახლა კი თურქი მწერლის, ორჰან ფამუქის ჯერია. სპეციალისტების აზრით, ეს იმაზე მეტყველებს, რომ ზოგი წიგნს მხოლოდ იმიტომ კითხულობს, გემოვნებიანი მკითხველის იმიჯი შეიქმნას, თუმცა ცხადია, საზოგადოებაში „წიგნის ჭიებიც“ უხვადაა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ დამოკიდებულება წიგნისადმი მრავალგვარია.

სპეციალისტების აზრით, თანამედროვე ტექნოლოგიები და კომპიუტერული თამაშები წიგნს ვერ ჩაანაცვლებს, თუკი მშობელი ბავშვის აღზრდის სწორ მეთოდს აირჩევს. ფსიქოთერაპევტთა ასოციაციის წევრი, ფსიქოლოგი და ფსიქოთერაპევტი ნინო ახალაია გვირჩევს, კომპიუტერის ეპოქაში, როგორ შევაყვაროთ ბავშვს წიგნის კითხვა.

— ქალბატონო ნინო, რა ასაკიდან უნდა დავიწყოთ ბავშვის ინტელექტზე ზრუნვა?

— ბავშვის განვითარებაზე ზრუნვა მისი გაჩენის დღიდან იწყება, თუმცა გარკვეულწილად, ამ მხრივ ნაბიჯებს დედა ორსულობაშიც დგამს — მუცლადყოფნის პერიოდში, იგი საკუთარ თავზე ზრუნვით უკვე ზრუნავს პატარას განვითარების პროცესზე. სწორი კვება, ცხოვრების ჯანსაღი რეჟიმი, კარგი განწყობა, ოპტიმისტური მოლოდინი... ხელს უწყობს, ბავშვი უფრო მომზადებული და ძლიერი დაიბადოს. ჩვილზე ზრუნვა კი მხოლოდ მისი სასიცოცხლო მოთხოვნილების დაკმაყოფილებით არ შემოიფარგლება — მას კვების, ძილისა და ჰიგიენის დაცვის გარდა, ხელში ხშირად აყვანა და თბილი, მშვიდი ინტონაციით საუბარიც სჭირდება. ბავშვი უნდა დარწმუნდეს, რომ იმყოფება უსაფრთხო და მოსიყვარულე გარემოში. პირველი განმავითარებელი ინსტრუმენტი, გარდა უკვე ნახსენები სითბოსი, სიყვარულისა და საუბრისა, არის სათამაშო. სათამაშოები სამყაროს შემადგენელი მინიმოდელებია, რომელთა დათვალიერება, ჩაბღუჯვა, კბეჩა და გატეხვაც კი, ასაკის მატებასთან ერთად, უფროდაუფრო შეუძლიათ. მოგვიანებით იწყებენ სათამაშოების თამაშში გამოყენებას. ბავშვის თამაშზე დაკვირვება ინფორმაციის მდიდარი წყაროა, თუ როგორ მიმდინარეობს მისი ფსიქიკური თუ ფიზიკური განვითარება.

— როგორ განვუვითაროთ ბავშვს ინტელექტი?

— გონებრივი შესაძლებლობების განმავითარებელი მრავალი გზა არსებობს და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მასთან ურთიერთობაა. საუბარი საკუთარ თავსა და გარესამყაროზე. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მშობელი უნდა დაელოდოს, შვილი როდის ისწავლის ლაპარაკს ან კითხვების დასმას. ამას გარდა, ურთიერთობა სხვა ადამიანებთან, განსაკუთრებით თანატოლებთან, ბავშვისთვის ინფორმაციის მიღების განსაკუთრებული წყაროა და განვითარების კარგი შესაძლებლობა ყველა მიმართულებით. სათამაშოები, ბავშვისთვის უცნობი ადგილების მონახულება, სხვადასხვა ისტორიის მოყოლა, უმნიშვნელოვანესია. განსაკუთრებით კარგია ძილისწინა პერიოდი, როდესაც ერთგვარ რიტუალად ყალიბდება წიგნის კითხვა, ზღაპრების მოყოლა, აზრების გაზიარება, სხვადასხვა თამაშის მოგონება. მაგალითად, გამოცანობანა — როდესაც თავად შეუძლიათ გამოცანების სპონტანურად მოფიქრება ან ოთახში მოთავსებული ნივთების ჩამოთვალა... ძალიან ბევრი განმავითარებელი აქტივობის მოფიქრება თავად შეუძლია მშობელს.

— უკვე მოზრდილ ასაკში რა ხერხს უნდა მიმართოს მშობელმა, რომ ბავშვს წიგნი შეაყვაროს?

— წიგნთან გაცნობა ძალიან ადრეული ასაკიდან იწყება. „გაცნობა“ ნიშნავს, რომ პატარა ჯერ ხედავს, როგორი დამოკიდებულება აქვთ უფროსებს წიგნის მიმართ, როგორ კითხულობენ და უვლიან, როგორ უკითხავენ ზღაპრებს. ზღაპრის კითხვა, ტექსტის აუცილებლად სიტყვასიტყვით კითხვას არ ნიშნავს. ეს უფრო მოყოლაა, რომელიც ბავშვს ეხმარება ინტერესი, მოსმენილზე ფიქრები და ვიზუალური მასალა დინამიკაში მოაქციოს, ამიტომ სასურველია, ბავშვს შინაარსი მოუყვეთ. საინტერესოა პატარასთვის ილუსტრაციის ნახვა. სკოლამდელ ასაკში ისეთი წიგნები უნდა შეურჩიოთ, სადაც ილუსტრაცია ყველა გვერდზე იქნება. რაც უფრო პატარაა ბავშვი, მით დიდი და მკაფიო ფიგურები უნდა იყოს წიგნში, ტექსტის მოცულობა კი მცირე. ასაკის მატებასთან ერთად, შესაძლებლობები იზრდება და შესაბამისად, იზრდება ტექსტის მოცულობა, ილუსტრაციები მცირდება. როგორ შეიყვარებს ბავშვი წიგნს და წიგნის კითხვას, მნიშვნელოვნად განისაზღვრება მშობლის სწორი დამოკიდებულებით, თუმცა არსებობენ ბავშვები, კითხვა რომ მოზრდილების მხრიდან ყოველგვარი წინაპირობების გარეშე უყვართ. ამასაც თავის გარკვეული მიზეზები აქვს.

— რას ურჩევდით მშობლებს, რომლებსაც აწუხებთ ეს პრობლემა?

— უყვარდეთ და პატივისცემით განიმსჭვალონ თავიანთი შვილების მიმართ — ეს შეუფასებელი შესაძლებლობების მქონე ყველაზე ეფექტური „ინსტრუმენტია“. ახლახან გავრცელდა ინფორმაცია, რომ სკოლებში კითხვის გაკვეთილები დაიწყება, წიგნიერების საათი პირველიდან მეოთხე კლასამდე მოსწავლეებს ჩაუტარდებათ. იმედია, ეს სიახლე მოსწავლეებში წიგნიერების დონის ამაღლებას შეუწყობს ხელს და ბავშვებს კითხვას შეაყვარებს, რადგანაც ნებისმიერი ქვეყნის განვითარების, წინსვლისა და წარმატების საწინდარი ნაკითხ, განათლებულ საზოგადოებაშია.

20 ოქტომბრიდან „მეორე არხზე“ „გამომძიებელი რეპორტიორი“ იწყება

რატომ გადაწყვიტეს საგამოძიებო ჟურნალისტიკაში დაბრუნება და რას გამოიძიებენ „90-იანელი ჟურნალისტები“

ნრუსუდან შელია
557-100-768

20 ოქტომბრიდან, „მეორე არხის“ ეთერში „გამომძიებელი რეპორტიორი“ იწყება. გადაცემა, რომელიც ეთერში ორ კვირაში ერთხელ, 21:30 საათზე გავა, საგამოძიებო ჟანრისაა და მასზე, ტექნიკურ ჯგუფთან ერთად, როგორც თავად ამბობენ — „90-იანელი ჟურნალისტები“ მაია გოგოლაძე და ლია ტოკლიკიშვილი მუშაობენ. მომავალი სამი გადაცემისთვის თემა უკვე შერჩეულია. დეტალებზე „ვერსიას“ ჟურნალისტი ლია ტოკლიკიშვილი ესაუბრება.

— სერიოზულ ჟურნალისტიკასთან ჩვენი პირველი შეხება აფხაზეთის ომს უკავშირდება, სადაც ჩემი მეგობრებიც იბრძოდნენ. მაშინ ჩვენთან ერთად გიორგი სანაია მუშაობდა. მახსოვს, მას, როგორც სოხუმელს, სოხუმში წასვლა დაავალეს. მეც თავი გამოვიდე, უნდა გავყვე-მეთქი... ომში ერთხელ თუ მოხვდი, ვერასოდეს მოშორდები. თავს ვალდებულად გრძნობ იქ მყოფ თითოეულ ადამიანთან — ჯარისკაცთან, მოსახლეობასთან... აფხაზეთიდან ომის რეპორტაჟებს ვწერდი და დღემდე თავს ომის რეპორტიორად მივიჩნევ. 1 ოქტომბრის შემდეგ, როცა გაგრა დაეცა, მაია გოგოლაძესთან ერთად, რომელიც მაშინ „7 დღის“ ერთ-ერთი რედაქტორი იყო, გარკვევა გადავწყვიტეთ — რატომ დაეცა გაგრა, რატომ დაიღუპა ამდენი ადამიანი, რატომ გამოასწრო ჯარმა მოსახლეობას ან რატომ არ ჩავიდა იქ მთავარსარდალი? პროფესიამ დაფარულ თემებთან იმდენი გვატრიალა, საგამოძიებო ჟურნალისტიკამდეც მივედით. შედეგად, საკმაოდ ბევრ გასაიდუმლოებულ საკითხს ფარდა ავხადეთ, რის გამოც ჩვენ წინააღმდეგ საქმეებიც აღძრეს. მიუხედავად ამისა, მაინც ვმუშაობდით, სამხედრო პროკურორმა და მისმა მოადგილეებმა ჩვენთან თანამშრომლობა დაიწყეს. ვამაყობ — თუ საზოგადოებამ იცის, რა მოხდა აფხაზეთის ომში, სხვა ჟურნალისტებთან ერთად, ჩვენი დამსახურებაცაა. საგამოძიებო ჟურნალისტიკასაც ამ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი.

— რატომ გადაწყვიტეთ საგამოძიებო ჟურნალისტიკაში დაბრუნება და რას შესთავაზებთ რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ მაყურებელს?

— ჟურნალისტიკაში ეს მიმართულება ფეხზე უნდა დადგეს. როცა „მეორე არხზე“ საგამოძიებო გადაცემის მომზადება შემოგვთავაზეს, ჩავთვალეთ, ეს შანსი იყო, რომელიც ხელიდან არ უნდა გაგვეშვა. ადრე ტელევიზიას თავისუფალ მედიად ვერ აღვიქვამდი, ვამბობდი, რომ საქართველოში თავისუფალი მედიის კუნძულები მხოლოდ პრესასა და ელექტრონულ მედიაშია. ახლა სიტყვები უკან მიმაქვს. „მეორე არხის“ გენერალურმა პროდიუსერმა დოდო შონავამ სრული თავისუფლება მოგვცა — მითითებებს არავისგან ვიღებთ, რაც მნიშვნელოვანია. პირველი გადაცემა ნაციონალური მოძრაობის დროს ქონებაწართმეულ ბიზნესმენებს დაეთმო. ამ გადაცდომის მონაწილე კი, სიჩუმისა და ინერტულობის გამო, ხელისუფლებაც გახდა; მეორე ფილმი პოლიტპატიმრებს მიეძღვნება. ახლაც ვსწავლობთ, სად არიან ადამიანები, რომლებიც პატიმრების ფსიქოლოგიურ თუ ფიზიკურ შელახვაში მონაწილეობდნენ? აღმოჩნდა, რომ არც ისე ბევრი ადამიანია ქვეყნიდან გაქცეული, როგორც გვეუბნებიან და ბევრიც არ დასჯილა. პირიქით, კანონდარღვევაში მონაწილე პირების ნაწილი დააწინაურეს, ზოგიც პროკურორია... უდანაშაულობის პრეზუმპციას ვიცავთ და არც ჟურნალისტურ ეთიკას ვარღვევთ, უბრალოდ, გვინდა, ადამიანებს, რომლებსაც ხელისუფლებისთვის სათქმელი დაუგროვდათ, ამის საშუალება მივცეთ.

— „გამომძიებელი რეპორტიორის“ პრიორიტეტი მხოლოდ წინა ხელისუფლების დროს არსებული გადაცდომის გამოძიებაა?

— არავითარ შემთხვევაში. საზოგადოებრივ მაუწყებელს წერილების განყოფილება აქვს, სადაც მოსახლეობა სხვადასხვა პრობლემაზე ინტენსიურად გვწერს. წერილების გაცნობის შემდეგ მივხვდი, მათი უმრავლესობა წინა ხელისუფლებაზეა ორიენტირებული — ციხეში გამოკეტილი ადამიანების რეაბილიტაციასა და დასაქმებაზე არავის უზრუნია, მათ მხოლოდ ციხის კარი გაუღეს. თავისუფლება კარგია, მაგრამ მას თავისი გრადაციები აქვს. რეაბილიტაცია სჭირდებათ, რომ საზოგადოებასთან თანაცხოვრება შეძლონ.

— დაზარალებულებსა და ხელისუფლებას შორის შუამავლის როლი იტვირთეთ?

— ეს როლი მედიამ უნდა იკისროს. ხელისუფლებას უნდა ვაგრძნობინოთ, რომ საზოგადოებაში მსგავსი „ნაღმების“ დატოვება დაუშვებელია და, თუ მათ სახელმწიფო წართმეულ ქონებას ვერ უბრუნებს, მეტი არგუმენტია საჭირო.

— ფიქრობთ, თქვენი გადაცემების შემდეგ ხელისუფლება დაზარალებულების მიმართ მეტ ყურადღებას გამოიჩენს?

— ოქროს შუალედია მოსაძებნი. მაგალითად, ილია დალაქიშვილის სახით ხელისუფლებას ვეუბნებით, რომ პრობლემების დიფერენცირება შესაძლებელია. ამ ადამიანს მიწა წაართვეს, რომლის ნაწილი უკვე სახელმწიფო სარგებლობაშია. ტერიტორიის ნაწილზე შემოსავლების სამსახურის შენობა დგას, მაგრამ დანარჩენი თავისუფალია, არავის ეკუთვნის. იქნებ სახელმწიფომ ამ ადამიანს წართმეული მიწის მესამედი მაინც დაუბრუნოს. ფილმი საკმაოდ მნიშვნელოვანი წინადადებით მთავრდება — დაზარალებულთა რიცხვი დიდია და ისინი გაჩუმებას არ აპირებენ. არ ეთანხმებიან ხელისუფლებას, რომ მხოლოდ მიღებული თავისუფლებისთვის უნდა იყვნენ მადლიერნი. თუ სახელმწიფომ საზოგადოება ისევ კმაყოფილ და უკმაყოფილო ჯგუფებად დაყო, ზუსტად წინა ხელისუფლების დროს არსებულ ვითარებას მიიღებს. მესამე ფილმი აფხაზეთს მიეძღვნება. დავუმტკიცებთ საზოგადოებას, რომ ყველა ხელისუფლებამ შეიტანა წვლილი აფხაზეთთან პოლიტიკური უფსკრულის გაღრმავებაში. საზოგადოებამ უფრო მეტი იცის აფხაზეთში შევარდნაძის დანაშაულის შესახებ, ვიდრე სააკაშვილის ხელისუფლებაზე. იმ მყვირალა პიარისა და ანაკლიაში დარგული ორი პალმის უკან, სრული უმოქმედობა იყო. აფხაზები წინა ხელისუფლებასთან კომუნიკაციას ითხოვდნენ, მაგრამ სააკაშვილი და მისი გუნდი კონტაქტზე უარს ამბობდა, რაც ქართულ-აფხაზური ურთიერთობების წინააღმდეგ იყო მიმართული. ამას ფილმში დავასაბუთებთ.

— „გამომძიებელი რეპორტიორი“ ერთჯერადი პროექტია თუ საზოგადოებრივ მაუწყებელთან გრძელვადიან თანამშრომლობას გეგმავთ?

— საზოგადოებრივ მაუწყებელთან გრძელვადიანი კონტრაქტი გავაფორმეთ, მაგრამ ცხადია, დაუსრულებელი არაფერია. მთავარია, მაყურებელს ხარისხიანი პროდუქცია მივაწოდოთ.

ელისო ბოლქვაძეს „იუნესკოს“ მშვიდობის ელჩის წოდება მიენიჭა

ეს გადაწყვეტილება UNESCO-ს გენერალურმა დირექტორმა ირინა ბოკოვანმა მიიღო. ეს პირველი შემთხვევაა საქართველოს ისტორიაში, როდესაც UNESCO-ს წოდება საქართველოს მიერ წარდგენილ კანდიდატს ენიჭება.

„UNESCO-ს ხელოვანები მშვიდობისთვის“ არიან კულტურის დარგში მოღვაწე გამოჩენილი პიროვნებები, რომლებიც მზად არიან, გამოიყენონ საკუთარი სახელი და სტატუსი ორგანიზაციის ღირებულებებისა და მთავარი მიზნების პოპულარიზაციისთვის.

ელისო ბოლქვაძისთვის ამ მაღალი სტატუსის მინიჭების საფუძველი გახდა არა მარტო მისი პროფესიონალიზმი, არამედ წლების განმავლობაში გაწეული აქტიური საქველმოქმედო მოღვაწეობა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, განსაკუთრებით კი, ახალგაზრდა ნიჭიერი მუსიკოსების მხარდაჭერა ფონდ „ლირას“ მეშვეობით.

ელისო ბოლქვაძის კანდიდატურა unesco-ს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, საქართველოს „იუნესკოს“ ეროვნული კომისიის პრეზიდენტმა მაია ფანჯიკიძემ წარუდგინა.

ტიტულს ოფიციალურ ცერემონიაზე, unesco-ს სათავო ოფისში, პარიზში მიანიჭებენ. საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე მუსიკოსს ტელეფონით ესაუბრა და ეს მნიშვნელოვანი წარმატება მიულოცა. ამასთან, მინისტრმა მუსიკოსს მისი სტატუსის მანდატით გათვალისწინებულ საქმიანობაში მხარდაჭერა აღუთქვა.

დღეს, „unesco-ს ხელოვანი მშვიდობისთვის“ სტატუსს მსოფლიოს 54 ხელოვანი ატარებს. მათ შორის, ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები, როგორიცაა ხოაკინ კორტესი, სელინ დიონი, ვლადიმირ სპივაკოვი, დანილო პერესი, მარკუს მილერი და სხვა.

„პირველი“

შსს-მ ყალბი სამხედრო ბილეთის დამზადების ფაქტზე ერთი პირი დააკავა

შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ქრთამის აღებაში დახმარებასა და ყალბი სამხედრო ბილეთის დამზადებაში ამხილეს და დააკავეს 1961 წელს დაბადებული, საქართველოს მოქალაქე რამიზ გ.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებული მოქალაქეს ყალბი სამხედრო ბილეთის დამზადებას დაჰპირდა, რის სანაცვლოდაც მობილიზაციისა და აღრიცხვის სამსახურის უფროსისთვის ქრთამის სახით გადასაცემად 1200 აშშ დოლარი მოსთხოვა. რამიზ გ-მ მოთხოვნილი თანხის ნაწილი, 700 აშშ დოლარის ოდენობით, ფოტოსურათებთან ერთად მოქალაქეს წინასწარ გამოართვა.

ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა რამიზ გ. რამდენიმე დღის შემდეგ ბრალდებულის სახით იმ დროს დააკავეს, როცა მან მოქალაქისგან აიღო დარჩენილი 500 აშშ დოლარი და ყალბი სამხედრო ბილეთი გადასცა. სამართალდამცველებმა ყალბი სამხედრო ბილეთი და ფული ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება ქრთამის აღებაში დახმარების ფაქტზე საქართველოს სსკ-ს 25-338-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით თავისუფლების 6-დან 9 წლამდე ვადით აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებას შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

„ვერსიანიუსი“

ინვესტიცია უძრავ ქონებაში – მარტივი გზა სარფიანი მოგებისათვის

თავისუფალ ფინანსებს, დანაზოგსა თუ მოულოდნელად გაჩენილ თანხას, გონივრული დაბანდება სჭირდება. თუმცა მაშინ, როდესაც ამ საკითხზე ფიქრს ვიწყებთ უამრავი რისკფაქტორი გვახსენდება და ისინი სულაც არ არის უსაფუძვლო. ინვესტიცია უძრავ ქონებაში თითქმის ყოველთვის უსაფრთხო და მომგებიანია. მაშინ როდესაც, მონეტარული აქტივების, ობლიგაციებისა და სხვადასხვა ფასიანი ქაღალდების სანდოობას მუდმივი რისკები ახლავს. ამ ფორმით ინვესტირებას ორმაგი სარგებლის მოტანა შეუძლია: პირველი ის, რომ თქვენს საკუთრებაში ინარჩუნებთ უძრავ ქონებას, პარალელურად კი, ზრდით კაპიტალს და მეორე — თქვენ შეგიძლიათ გააქირაოთ საკუთრებაში არსებული ბინა და ამით დამატებითი შემოსავალი მიიღოთ. ამგვარი კაპიტალდაბანდება კრიზისულ პერიოდებშიც კი, სტაბილურ შემოსავალს მოგცემთ, მაშინაც, კი, როდესაც ქონების ღირებულება სამშენებლო ბაზარზე დროებით შემცირდება.

ნებისმიერი ფინანსური ოპერაციის წარმოებისას, მათ შორის უძრავ ქონებაში განხორციელებული ტრანზაქციების შემთხვევაში, აუცილებელია შეფასდეს ძირითადი პარამეტრები: ინვესტიციის ხანგრძლივობა, განხორციელების ფორმა, მასშტაბი და საჭირო დრო. დროის ფაქტორს უძრავ ქონებაში ინვესტირებისას ერთგვარად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს — ზოგი მიიჩნევს, რომ უმჯობესია, შეიძინო უძრავი ქონება მშენებლობის საწყის ეტაპზე, რადგან ამ შემთხვევაში ფასები გაცილებით დაბალია, თუმცა ამ მეთოდით მოსალოდნელი მოგების გამოთვლა რთული იქნება. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ადგილმდებარეობა. უნდა გავთვალოთ, მშენებლობის დასრულების შემდეგ იქნება თუ არა საცხოვრებლის გარემო-ინფრასტრუქტურა მიმზიდველი მომავალი მობინადრეებისათვის დაბოლოს, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი — უნდა იცოდეთ, იმ კომპანიის წარსულისა და სანდოობის შესახებ, რომელსაც დანაზოგს, თავისუფალ ფინანსებს ანდობთ.

უძრავ ქონებაში ინვესტირება განსაკუთრებით აქტუალური ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში გახდა, როდესაც ბინების გაყიდვა დირსის საცხოვრებელ კომპლექსში დაიწყო. 5 ათასამდე ბინას დასრულებული რემონტით აზერბაიჯანული საინვესტიციო ჰოლდინგი — „ეი ეს გრუპ ინვესტმენტი“ დირსის ახალ უბანში სთავაზობს. ამიერკავკასიაში ყველაზე მასშტაბური პროექტის გამოჩენამ ქართულ სამშენებლო ბაზარზე მნიშვნელოვნად შეცვალა როგორც უძრავი ქონების ფასები, ასევე მყიდველის ჩვევაც. ჩვევაში კი, კონკრეტულად იმას ვგულისხმობ, რომ ბინების შეძენა აქტიურად დაიწყეს იმ ადამიანებმა, ვინც ჯერჯერობით საცხოვრებლად გადასვლას არ ფიქრობს და ბინას ერთგვარი კაპიტალდაბანდებისთვის იყენებს. მსგავს მეთოდს აქტიურად საქართველოდან წასული ემიგრანტები მიმართავენ. დირსის ბინის მფლობელთა 50% ქართველი ემიგრანტია, რომელიც ჯერჯერობით ქვეყანაში დაბრუნებას არ ფიქრობს და ბინას თანხის დაბანდების კარგ გზად აფასებს.

დირსიზე აქცენტირება ამ შემთხვევაში იმ ფაქტმა განაპირობა, რომ პროექტში ბინები დასრულებული რემონტით ბარდება. ბინის ინვესტიციის მიზნით შეძენისას კი, მის მდგომარეობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამაში, შემდეგი მაგალითის განხილვისას ადვილად დარწმუნდებით:

თბილისში შავი კარკასის ფასი, კვადრატულ მეტრზე, დაახლოებით 500-600 დოლარია. შავი კარკასი კი გულისხმობს შენობას ტიხრების გარეშე. კედლები არ არის შელესილი და კომუნიკაციები მხოლოდ სახლამდეა მიყვანილი. თეთრი კარკასის მდგომარეობის ბინა ბაზარზე საშუალოდ 800-900$ ჯდება კვ.მ. ჩასმულია გარე კარ-ფანჯარა, შემოსასვლელი კარი, შეყვანილია კომუნიკაცია და გაყვანილობა სველი წერტილებისათვის. შავი კარკასის შემთხვევაში რემონტი კვ.მ.-ზე საშუალოდ 300$, თეთრი კარკასის შემთხვევაში კი — 100-200$ ჯდება. თუ ამ ყველაფრის ფონზე გავითვალისწინებთ გარემოებას, რომ დირსიში ბინა დასრულებული რემონტით, ჩაშენებული სამზარეულოს ავეჯითა და კეთილმოწყობილი სააბაზანოთი კვ.მ. 900 $ ჯდება. მოგება და გარემონტებული ბინის ყიდვის სარფიანობა ნათელია. სწორედ ამ ქეისის მიხედვით, ადვილია ვივარაუდოთ, რამ გამოიწვია დირსის პოპულარობის ზრდა იმ სეგმენტში, რომელსაც ბინის შეძენა და შემდეგ მისი გაქირავება სურს.

მნიშვნელოვან ფაქტორს ბინის სარფიანად გაქირავებაში გარემო ინფრასტრუქტურა თამაშობს. დირსიში კაპიტალდაბანდების სარფიანობა ერთი-ორად იზრდება, როდესაც საცხოვრებელი კორპუსის ირგვლივ სავაჭრო ცენტრი, სამედიცინო პუნქტი, ბულვარი და კომერციული ობიექტებია. დირსის სხვა სამშენებლო პროექტებისგან განსხვავებით, სწორედ ეს უპირატესობა განასხვავებს. თუკი დირსიში იყიდით სტუდიოს ტიპის ბინას (49 კვ.მ) რომელიც დაახლოებით 44 000 $ ჯდება, მას საშუალოდ თვეში 500$-ად გააქირავებთ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ბინის ირგვლივ არსებული ინფრასტრუქტურა მას საბაზრო ფასს აუწევს. დახარჯული თანხის უკან დაბრუნება საშუალოდ 7 წელიწადში იქნება შესაძლებელი. ამას თავისი მიზეზი აქვს. ნაკლებსარფიანია კაპიტალდაბანდება კავკასიისა და ევროპის სხვა ქალაქებში, ვინაიდან ბინის გაქირავების ფასი, თბილისთან შედარებით, იქ საკმაოდ დაბალია.

ამ შეთავაზების გარდა, დირსი ბაზარზე საინტერესო წინადადებით გამოდის. კომპანიის ხელმძღვანელობა უძრავი ქონების ბაზარს ახალ პროდუქტს სთავაზობს, კონცეფციით - შეიძინე ბინა და გააქირავე. ამ შემთხვევაში, კომპანია უზრუნველყოფს ბინების გაქირავებას და მყიდველისთვის დამატებითი შემოსავლის წყაროს ფორმირებას.

დირსიში კაპიტალდაბანდებისაკენ მოქალაქეებს მარტივი საგადასახადო სისტემაც უბიძგებს. კომპანია სხვადასხვა ბანკთან თანამშრომლობს და მომხმარებელს იპოთეკურ კრედიტს 9%-ად, 15 წლამდე ვადით სთავაზობს. პირველადი შენატანი ბინის 20%-ია, ბანკი ღირებულების 80%-ს ფარავს. კომპანიაში აცხადებენ, რომ დირსი ამ ეტაპზე ორ ბანკთან ახალ მემორანდუმზე მუშაობს, რომელიც სესხების ანალიზის გარეშე, მინიმალური დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე გაცემას ითვალისწინებს.

პატიმრის დღიური

პატიმარი №0578

საბედისწერო ექსპერიმენტი ზონაზე

როგორ „წააქეზა“ ღაღი მოროშკინამ პატიმარი და რაზომ ახრჩობდა კობა პაემანზე მისულ ცოლს

ხელისუფლების ცვლილების შემდეგ სასჯელაღსრულებითი სისტემა „გამჭვირვალე“ გახდა. ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავვარდით — ციხეებსა თუ ზონებზე, ვისაც როგორც სურდა, ისე შემოდიოდა. ვიღაცას არასამთავრობოს, ვიღაცას სახალხო დამცველის წარმომადგენელი ერქვა.

ერთ მშვენიერ დღეს რუსთავის №17 დაწესებულებაში ლალი მოროშკინა გამოჩნდა. შემოეხვივნენ პატიმრები, ათასი კითხვა დაუსვეს, აქეთურ-იქითური თქვეს, წასვლისას კი ქალბატონმა ლალიმ განაცხადა — აქ ამდენი კაცი ზის, გარეთ კი კაცი სანთლით საძებარიაო. ეს ერთ-ერთი დიდი შეცდომა იყო, რომელიც მოროშკინამ დაუშვა — ზოგადად, პატიმრებს ბევრი დრო აქვთ და რადგანაც უმრავლესობა ჩამოყალიბებული (ან ჩამოყალიბების პროცესში მყოფი) კრიმინალია, ცდილობს, რამე გააფუჭოს. დახურულ სისტემაში რამის გაფუჭება ძნელია. ჯერ ერთი, თუ მასშტაბურ რამეს გააფუჭებ, „სროკს“ გიმატებენ, თუ არა „კრიტში“ გადაგიყვანენ.

„სვაბოდაზე“ კი, უამრავი ადამიანი უპრობლემოდ ცხოვრობს (ციხიდან ასე ჩანს) და რატომ არ უნდა დაუთმონ ამ ადამიანებმა დრო მათ, ვისაც პატიმარი ჰქვია?! ჰოდა, პატიმრებიც წერენ წერილებს, ლექსებს (ზოგიერთი არცთუ ურიგოს) და ვინ ძველ ნაცნობს უგზავნის, ვინ კი მიზანში ცნობად სახეს ამოიღებს ხოლმე. ქალბატონი ლალის სიტყვების შემდეგ წერილები გაორმაგდა, თუმცა ისტორია, რომელსაც გიამბობთ, სხვა კუთხითაა საინტერესო. პატიმარმა თავისი ცოლის „შებმა“ გადაწყვიტა და წერილების გაგზავნა დაუწყო. იმის გამო, რომ ცოლს არაფერი ეეჭვა, ტექსტს სხვა პატიმარს აწერინებდა...

ქუთაისელმა კობამ როცა ეს მოიფიქრა, ბევრს გაეცინა, რომ შეაბა, რას იზამო. რად მინდა ცოლი, ვიღაც პატიმარი თუ შეაბამსო და... მეუღლესთან მიმოწერა დაიწყო. მერვე წერილზე პასუხი მოვიდა. ცოლი უხსნიდა, ჩემი ქმარიც პატიმარია, მანდ ზის და რომ გაიგოს, ცოცხალს არ დაგტოვებსო. კობა არ დაცხრა, სწორედ მას რომ შეხვდი, მაშინ მოგკარი თვალი და გულში ჩამივარდი, მზად ვარ, შენს ქმარს თავი შევაკლაო. საქმემ აშკარად საინტერესო გაგრძელება ჰპოვა, მაგრამ უკვე კობას აღარ ეხუმრებოდა. ცოლი ყველა წერილზე პასუხობდა და სიყვარულსაც ეფიცებოდა. საბოლოოდ, კობამ დაარწმუნა ცოლი, ქმარს გაშორდი, გამომყევი და რომ გამოვალ, დედოფალივით გაცხოვრებო.

„კობა, იქამდე მიხვალ ან ცოლს მოკლავ, ან თავს მოიკლავ“, — ურჩია ერთ დღეს პატიმარმა №0578-მა, რომელსაც ეს იდეა ჩანასახშივე არ მოეწონა.

„ახლა გაჩერება არ შეიძლება. ყველამ უნდა მიწეროს თავის ცოლს და გაიგოს, ერთგულია თუ არა. ხომ ხედავ, მარტივად მყიდის. თან მე მივწერე, შენს ქმარზე ექვსი თვით ადრე გამოვდივარ-თქვა და ბედნიერია. განქორწინებაზე თუ მომივიდა მოთხოვნა, ხომ იქნება სეირი?!“ — ნერვიულად გაეცინა კობას.

სამი დღის შემდეგ კობა №0578 პატიმრის საკანში შევიდა, ნარზე ჩამოჯდა და ფურცელი გაუწოდა. ცოლი განქორწინებას ითხოვდა. სასამართლოდან მოსულ დოკუმენტს მისი ხელმოწერა აკლდა. რა ვქნაო, მოგუდული ხმით ჰკითხა. პატიმარმა ჯერ წერილი ჩაიკითხა, მერე კი მშვიდად უპასუხა: „შენ აქეთ მიდიოდი, ეს გინდოდა, როგორც გადაწყვეტ, ისე მოიქეცი. ხელს თუ არ მოაწერ, სამ თვეში მაინც გაფორმდება განქორწინება. ეგებ მოახერხო და ამ დროში შენ შეაბა საკუთარი მეუღლე თავიდან“.

კობა წელმოწყვეტილი გავიდა საკნიდან. ხელი მოაწერა და სახლში დარეკა. ცოლს ჰკითხა, რა დაგემართა ასე უცებო, იმანაც უპასუხა — აღარ შემიძლია ამდენი ლოდინი, ნერვები დამაწყდა და ამიტომ გეყრებიო.

ახლა საქმე ის იყო, ვის უნდა მოეწერა კობას მარტოდარჩენილ ცოლთან ხელი, რათა ქუთაისელ პატიმარს ცოლი ზონაზე გრძელვადიან პაემანზე შემოეტყუებინა და პასუხი მოეთხოვა. №0578 მაყურებლებთან ჩავიდა და უთხრა: „ვიღაცები სეირის ყურებას აპირებენ. ხელის მოწერა სურთ კობას ცოლთან, რადგან ზონაზე შემოსული ქალი ამ უბედურმა ცემაში მოკლას. თავს დაიღუპავს და ზონასაც დაღუპავს, სპეცრაზმი შემოგვივარდება და გადაგვივლის. სხადნიაკია გასაკეთებელი და ის არის სათქმელი, რომ კობას ცოლთან ხელი არავინ მოაწეროს“...

მაყურებლებმა ნახევარ საათში მთელი ზონა შეკრიბეს და გადაწყვეტილება გამოაცხადეს. კობა თავჩაქინდრული იდგა და ხმას არ იღებდა, მერე კი სახე გაუბრწყინდა და მშვიდად დაბრუნდა საკანში.

„რაღაც მოიფიქრა ამ უბედურმა“, — უთხრა №0578-ს ქუთაისის რეგიონის მაყურებელმა და ჩაფიქრდა.

მეორე დღეს კობა ოფიცერს ეჩურჩულებოდა. ქალის შემოყვანა მინდა, ჩემს თანასაკნელს სიურპრიზს ვუწყობ, ოღონდ არ უნდა გაიგოს, ბოზი მოვა და სანაცვლოდ გარეთ ათას ლარს ჩაგახუტებენო. ხელისუფლება უკვე შეცვლილი იყო. ციხის კარი ღამის ყველა მსურველისთვის იღებოდა. კობამ ცოლს მისწერა, ამა და ამ დღეს, ამ პატიმრის სახელზე შემოხვალ, უფლება არ მაქვს, ჩემი სახელი ჩავწერო, თუმცა ოთახში მე დაგხვდებიო. ახალ „შეყვარებულთან“ ქალი მაშინვე გამოქანდა, ოფიცერმა ოთახში შეუშვა და წარმოიდგინეთ მისი გაოცება, როცა უცნობი სიყვარულის ნაცვლად, ქმარი დახვდა. მერე ყველაფერი წამებში მოხდა — კობა ცოლს ეცა და დახრჩობა სცადა. საბედნიეროდ, ქალმა დაყვირება მოასწრო. ოფიცრები შეცვივდნენ, მაგრამ დრო დასჭირდათ, სანამ კობას ცოლი ხელიდან გამოწიწკნეს. ქალს ყელზე სისხლჩაქცევები დაეტყო.

კობა პაემნების ოთახიდან ზონაზე დააბრუნეს, ბოლო ხმაზე ყვიროდა, მაინც მოვკლავ მაგ ქალსო. შემდეგ დამშვიდდა და...

„შენ შეგიძლია, ვინმე ცნობილი ქალის ტელეფონი მომცე, ან მისამართი, წერილს გავუგზავნი, დავურეკავ“, — კობა №0578-ის საკანში იდგა და მშვიდად საუბრობდა.

„კაცურად, რამდენი წლის ხარ ან შენ ან შენი ცოლი“, — ნარზე წამოჯდა №0578.

„მე 56-ის გავხდები მალე, ცოლი ორი წლით არის ჩემზე პატარა“, — გაიღიმა კობამ.

„ან ის რამ გადარია, ან შენ რა გეცნობილქალება. არ ვიცი, ეს სიტყვა არის თუ არა ლექსიკონში, მაგრამ შემეშვი, რა... ცნობილი ქალი აგერ მოროშკინა იყო და გამოგერთმია ტელეფონი“, — გაბრაზდა პატიმარი.

„არა, მოროშკინა არა... მე ცოტა ჩემი ასაკის ქალი მინდა, ოღონდ ცნობილი“, — გაიმეორა კობამ.

„შენი ასაკის და ცნობილი ტინა ტერნერია, მაგრამ მაგის მისამართი ნაღდად არ ვიცი“, — უპასუხა №0578-მა და ისევ წამოწვა. ამით კობას აგრძნობინა, საუბარი დამთავრებულიაო...

რვა დღე ჰქონდა კობას თავისუფლებამდე, როცა გულმა უმტყუნა და ზონაზე გარდაიცვალა. მერე გაიგეს პატიმრებმა, გასვენებაში ყველაზე ხმამაღლა ცოლი ტიროდა და პატიებას სთხოვდაო. მერე, როცა მისი ნივთები გადაათვალიერეს, რამდენიმე წერილი ნახეს გასაგზავნად გამზადებული. კობას ლამაზი ასოებით გამოეყვანა — „ინგა გრიგოლიას“...

„აუფ, რამდენი მიუწერია ინგასთვის, კი ეკუთვნის ინგაიას პანაშვიდზე მისვლა“, — გაიკრიჭა ერთი პატიმარი.

„პანაშვიდი კი არა, თუ გაიგო, კობაიას თავის ასაკის ვეგონეო, კი დატოვებს დაუმარხავს“, — აჰყვა მეორე. №0578-მა პირველად ვინც იხუმრა, იმას ხელი მოწყვეტით გაარტყა და სანამ პატიმარი დაეცემოდა, ხელიდან წერილების დასტა გამოგლიჯა. მერე დანარჩენებს მოავლო მზერა, კობას წერილები ნაკუწებად აქცია და „პარაშაში“ ჩაყარა.

1. თოკის იარაღი, იგივე ლასო
2. მარგარეტ მიტჩელის ცნობილი რომანი
3. ოტელოს ეროვნება
4. ქალაქი საფრანგეთში
5. (ძვ.) ჩიტის მახე
6. საუნივერსიტეტო ქალაქი ინგლისში
7. მდედრობითი სქესის სირინოზი
8. ბომარშეს პიესის ცნობილი პერსონაჟი
9. მდინარე გერმანიაში
10. სამკურნალო ბალახოვანი მცენარე
11. კვირტებიანი ხის ნორჩი ტოტი
12. ვაზის სოკოვანი ავადმყოფობა
13. მინდვრის მავნებელი მწერი
14. აზრის იგავურად გამოხატვა ხელოვნებაში
15. დახრილი, ალმაცერი
16. ბოთლებში ჩამოსხმული ღვინის საცავი
17. სოფელი სენაკის რაიონში
18. ღამის ანტონიმი
19. ირლანდიის თვითსახელწოდება
20. საღეჭი რეზინის მწარმოებ. კომპანია
21. მიწის დასამუშავებელი იარაღი
22. ყურძნის მოსავლის აღება
23. კანადელი მომღერალი ... ფურტადო
24. ხელოვ. შექმნილი წარმოდგენა ვისიმე შესახებ
25. ანა კარენინას სატრფო
26. კინოფილმის საჩვენებელი ზედაპირი
27. მეტიჩარა, მატრაკვეცა, მატყუარა
28. ქამუშაძის სახელი
29. მუსლიმანთა საშუაო სკოლა
30. ცხოვ. თავდაცვითი შეგუების ფორმა
31. დასარტყმელი საკრავი
32. პარასკევის მომდევნო დღე
33. სინათლის ნაკადის საზომი ერთეული
34. აფრიკული შხამიანი გველი
35. ავთანდილის ეროვნება („ვეფხისტყ.“)
36. ეგვიპტელთა წმინდა ფრინველი
37. ცნობილი ფრანგი კომიკოსი
38. რუმინული გრძელი მრავალლეროიანი ფლეიტა
39. პომიდვრის მოდუღებული წვენი
40. იტალიელი მწერალი
41. მნიშვნელოვანი აზრი, ჩანაფიქრი
42. ძალიან ბრაზიანი, ანჩხლი
43. ძვ. ფრანგული სიგრძის ერთეული
44. პატარა ტყე მინდორში
45. დიზაინერ იამამოტოს სახელი
46. ზურიკელა ვაშალომიძის სატრფო
47. ბიბლიური ყაჩაღი
48. მთიანი მხარე რუსეთში
49. ფრჩხილის ბუდის ანთება
50. რეგის „მეფე“ ... მარლი
51. დიონისეს დედა
52. კარგი ამინდი
53. მფრთხალი, შეუჩვეველი საქონელი
54. ცხენის სხვადასხვაგვარი სვლა
55. ქართ. ანბანის ბოლო ასო
56. სუფრის ხელმძღვანელი
57. აღმოსავლური სიმებიანი საკრავი
58. ქალაქის თვითმმართველობის შენობა
59. ტოკიოს ძველი სახელწოდ.
60. ფრანგი საფეხბ. მწვრთნელი
61. ტბა ჩრდილოეთ ამერიკაში
62. ბუნების მძლავრი მოვლენა
63. ლუჩანო პავაროტის მშობლიური ქალაქი
64. კოლხეთის ანტიკური სახელწოდ.

რამდენი ფულია საჭირო ბედნიერებისთვის?

პრინსტონის უნივერსიტეტის სწავლულებმა დაადგინეს, რომ ადამიანმა თავი ბედნიერად რომ იგრძნოს და ცხოვრებისეულ წვრილმანებს ყურადღება არ მიაქციოს, მისი შემოსავალი წელიწადში 75 ათას დოლარს მაინც უნდა შეადგენდეს, რაც თვეში 6250 დოლარია. მეცნიერები, რომლებიც კვლევას ატარებდნენ, აღნიშნავენ, რომ ეს თავისებური ზღვარია: თუ ადამიანი ნაკლებს იღებს, უფრო რთულად გადააქვს ცხოვრებისეული სირთულე და უსიამოვნება, მაგრამ არ ღირს ვიფიქროთ, რომ ცხოვრებით კმაყოფილება იზრდება იმ შემთხვევაში, თუ შემოსავალი წელიწადში აღნიშნულზე მეტია. გაირკვა, რომ ამ თანხაზე მეტი ფული ბედნიერებას უკვე აღარაფერს ჰმატებს. ფულის როლის გარკვევაში სწავლულებს რესპონდენტებიც დაეხმარნენ. კითხვაზე, რა პრობლემები აწუხებთ ცხოვრებაში, აღმოჩნდა, რომ მეუღლესთან განქორწინება 51%-ის პრობლემაა, ვინც თვეში ათას დოლარზე ნაკლებს გამოიმუშავებს და დაახლოებით 24%-ის — ვინც ყოველთვიურად 3 ათას დოლარზე მეტს იღებს. კვლევების ავტორები აღნიშნავენ, რომ ფულსა და ბედნიერებას შორის კავშირი ირიბი ხასიათისაა — მაღალი შემოსავალი არ გვაქცევს ბედნიერ ადამიანებად, მაგრამ ფული გვაძლევს ცხოვრებას, რომელიც უფრო კარგი გვგონია.

ქალაქი ხმაურიანი ჩანჩქერისთვის დააჯარიმეს

იტალიური ქალაქი ბალანო გარემოსდამცველმა ორგანოებმა ხმაურიანი ჩანჩქერისთვის დააჯარიმეს. ჩანჩქერი ტბა კომოზე მილიონობით წლის წინ წარმოიქმნა და ადგილობრივ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს. ათიათასობით ტურისტი ყოველწლიურად ჩადის იქ სილამაზით დასატკბობად და კანიონის დასათვალიერებლად. თუმცა, ბოლო დროს, ადგილობრივები ბუნების ქმნილებაზე ჩივიან, რადგან ჩანჩქერის ხმა შემაწუხებლად ეჩვენებათ. ბალანის მცხოვრებლები ამბობენ, რომ სახლში ტელევიზორის ხმაც კი არ ესმით წყლის ხმაურის გამო. თანაც ყველაფერში ქალაქის საბჭო დაადანაშაულეს და აცხადებენ, რომ ხმაურის რეგულირება ხელოვნურად შესაძლებელია. ადგილობრივებმა დასახმარებლად რეგიონულ გარემოსდაცვით სააგენტოს მიმართეს, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ქალაქის ხელისუფლებისთვის 900 ევროთი დაჯარიმების შესახებ. ქალაქის მერმა გადაწყვეტილებას აბსურდული უწოდა და უარი განაცხადა ჯარიმის გადახდაზე.

უძვირფასესი სახლი მსოფლიოში



მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებულ უძრავ ქონებად ინდოეთში, მუმბაიში მდებარე 27-სართულიანი შენობა „ანტილა“ მიიჩნევა. მისი ფასი, ექსპერტების შეფასებით, 15 მილიარდი დოლარია. სახლის მეპატრონე მსოფლიოში ერთ-ერთი მდიდარი ადამიანი, მილარდერი მუკეშ ამბანია. შენობის ფართობი 3700 კვადრატულ მეტრზე მეტია. ის უამრავი საძინებლის, საბაზანოსა და მისაღები ოთახისგან შედგება. გარდა ამისა, სახლში 9 ლიფტი, 6-სართულიანი ავტოფარეხი, საგამოფენო დარბაზი, მინითეატრი, რამდენიმე ბარი და მწვანე ზონაა. ყველაზე ძვირადღირებული სახლების რეიტინგში მეორე საფეხური ვილა „ლეოპოლდმა“ დაიკავა, რომელიც საფრანგეთში ლაჟვარდოვან სანაპიროზე მდებარეობს. მისი ფასი 500-დან 700 მილიონ დოლარამდე მერყეობს. ვილა ბელგიის მეფე ლეოპოლდ მეორემ ააგო 1902 წელს, მისი ამჟამინდელი მფლობელი კი ლიბანელი მილიარდერი ბანკირის, ედმონდ საფრის ქვრივია. შენობის ფართი დაახლოებით 7500 კვადრატული მეტრია. უძვირფასესი სახლების ლიდერთა სამეულში შევიდა ასევე დიდ ბრიტანეთში, ლონდონში მდებარე ბინა-პენტჰაუსი, რომელიც 220 მილიონ დოლარად გაიყიდა.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲛᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

		5		3				8
			1		6	5		
	3				2	7		
		9			8			5
	2						4	
1			4			9		
		7	3				9	
		6	5		9			
8				4		1		

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

			5			3		
2					7	6		4
			9				8	7
8		6					3	2
		5				9		
9	3					7		5
5	7				3			
4		9	2					3
		8			6			

ᲠᲗᲣᲚᲘ

1	9							2
				2				
	3	2		8	7		6	
		1					8	
6			1		4			3
	2					9		
	6		2	4		3	1	
				3				
9							7	4

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

	1		8					4
4	3	9			7			2
						1		
				9		7	1	
7		1	4	6	8	9		3
	5	8		3				
		4						
1			3			6	8	9
8					2		4	

ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲣᲐᲚᲔᲑᲘ „ᲦᲐᲛᲣᲠᲔᲑᲘ“ ᲐᲠᲘᲐᲜ

დიდი ხანია მიიჩნევა, რომ ენერგია, რომელსაც ადამიანები ღამით მთვარისგან იღებენ, გაცილებით მეტ ახალ კრეატიულ იდეას ბადებს, ვიდრე დღის ენერგია, რომელსაც მზისგან ვიღებთ. თუ Psychology Today-ს სტატისტიკურ მონაცემებს დავუჯერებთ, ადამიანებს, რომლებიც „ღამურები“ არიან, ინტელექტის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალი აქვთ. ლონდონელი ფსიქოლოგები ამ მოსაზრებას ადასტურებენ და დღის რეჟიმის ღამეზე შეცვლის სასარგებლოდ არგუმენტები მოჰყავთ. პირველ რიგში, გვიან დაწოლის მოყვარულებს მეტი დრო რჩებათ იმისთვის, რომ იოცნებონ და საკუთარ ფანტაზიებს გასაქანი მისცენ. დღის საზრუნავი კი არ იძლევა საშუალებას, კონცენტრირება ოცნებებსა და სურვილებზე მოახდინოთ; ვისაც არ სძინავს ღამით, გარკვეულწილად, მეამბოხეები არიან. ასეთ ადამიანებს შორის არიან მხატვრები, გამომგონებლები და მეცნიერები. „ღამურები“ ყოველთვის მზად არიან ყველანაირი სიახლისთვის, ისინი ხშირად არიან იმ ფსიქოლოგიური და ემოციური განცდის ქვეშ, რასაც ღამის ცხოვრება ჩუქნის. ვინც გვიან წვება დასაძინებლად, ყოველთვის უფრო მეტ ინიციატივას იჩენს, ვიდრე „ტოროლები“. სწორედ გვიან საათებში მოსდის ადამიანს თავში გადასარევი იდეები. მხოლოდ გვიანობამდე ჯდომით შეძლებთ დიდი ხნის დაგეგმილი საქმის შესრულებას.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

წიგნებს წონით ყიდიან

ჩინეთის ქალაქ ჩუნცინის ერთ-ერთი მაღაზიის მფლობელებმა წიგნების გაყიდვა წონით დაიწყეს. აქცია იმის გამო მოეწყო, რომ ბეჭდვურ წიგნებზე მოთხოვნა გაიზარდოს. დაწესებულების კლიენტები ამტკიცებენ, რომ წიგნების ყიდვა კილოგრამობით გაცილებით იაფია, ვიდრე ცალობით. საქმე ისაა, რომ გაყიდული წიგნების რაოდენობა ჩინეთში ყოველწლიურად იკლებს და სავარაუდოდ, მომავალში, ელექტრონული წიგნები ბეჭდვურს ჩაანაცვლებს. არადა, ერთ-ერთი წამყვანი მსოფლიო კომპანიის მონაცემებით, რომელიც წიგნის ბაზარს იკვლევს, ჩინეთი მსოფლიოში ყველაზე „კითხვადი“ ქვეყნების ხუთეულშია. საათების რაოდენობის მიხედვით კი, როცა ქვეყნის ერთი მცხოვრები საშუალოდ ყოველკვირა წიგნის კითხვაზე ხარჯავს დროს, ის მესამე ადგილზეა ინდოეთისა და ტაილანდის შემდეგ.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

6	9	3	7	5	4	2	1	8
1	8	5	2	9	6	4	7	3
4	2	7	1	3	8	9	5	6
3	1	2	8	7	5	6	9	4
9	7	8	6	4	2	1	3	5
5	6	4	9	1	3	8	2	7
8	5	1	3	6	9	7	4	2
7	4	6	5	2	1	3	8	9
2	3	9	4	8	7	5	6	1

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

1	9	3	5	6	7	2	4	8
2	4	8	9	3	1	7	6	5
7	6	5	4	2	8	3	1	9
5	2	1	3	4	9	8	7	6
8	3	6	2	7	5	4	9	1
4	7	9	1	8	6	5	3	2
9	5	4	8	1	3	6	2	7
6	1	2	7	5	4	9	8	3
3	8	7	6	9	2	1	5	4

ᲠᲗᲣᲚᲘ

2	7	6	1	3	4	9	8	5
9	4	1	5	2	8	3	7	6
5	3	8	9	7	6	4	2	1
8	6	7	4	1	9	5	3	2
1	9	5	2	8	3	7	6	4
4	2	3	7	6	5	1	9	8
7	1	9	8	5	2	6	4	3
6	8	4	3	9	1	2	5	7
3	5	2	6	4	7	8	1	9

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

8	3	7	2	6	5	9	4	1
5	6	9	1	4	3	2	8	7
4	1	2	9	8	7	6	5	3
3	9	6	8	1	4	7	2	5
1	5	8	7	3	2	4	6	9
2	7	4	6	5	9	3	1	8
9	8	5	4	7	6	1	3	2
7	4	3	5	2	1	8	9	6
6	2	1	3	9	8	5	7	4

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

7	6	5	9	3	4	2	1	8
2	8	4	1	7	6	5	3	9
9	3	1	8	5	2	7	6	4
6	4	9	2	1	8	3	7	5
5	2	8	7	9	3	6	4	1
1	7	3	4	6	5	9	8	2
4	5	7	3	2	1	8	9	6
3	1	6	5	8	9	4	2	7
8	9	2	6	4	7	1	5	3

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

1	8	7	5	6	4	3	2	9
2	9	3	1	8	7	6	5	4
6	5	4	9	3	2	1	8	7
8	1	6	7	5	9	4	3	2
7	4	5	3	2	1	9	6	8
9	3	2	6	4	8	7	1	5
5	7	1	8	9	3	2	4	6
4	6	9	2	1	5	8	7	3
3	2	8	4	7	6	5	9	1

ᲠᲗᲣᲚᲘ

1	9	8	4	5	6	7	3	2
5	7	6	3	2	1	4	9	8
4	3	2	9	8	7	1	6	5
3	4	1	5	9	2	6	8	7
6	8	9	1	7	4	5	2	3
7	2	5	8	6	3	9	4	1
8	6	7	2	4	5	3	1	9
2	1	4	7	3	9	8	5	6
9	5	3	6	1	8	2	7	4

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

6	1	5	8	2	9	3	7	4
4	3	9	5	1	7	8	6	2
2	8	7	6	4	3	1	9	5
3	4	6	2	9	5	7	1	8
7	2	1	4	6	8	9	5	3
9	5	8	7	3	1	4	2	6
5	9	4	1	8	6	2	3	7
1	7	2	3	5	4	6	8	9
8	6	3	9	7	2	5	4	1

მე-10 გვერდი: 1. ნიქტოფობია; 2. პიექსი; 3. ნესი; 4. ქინაქინა; 5. ორაგული; 6. პუნქტუაცია; 7. ეკლერი; 8. სლაი; 9. აბატი; 10. ალიკანტე; 11. აპნისი; 12. ნოლგაუ; 13. არვე; 14. ასლი; 15. აქსუ; 16. ბელი; 17. სარი; 18. ტიეპოლო; 19. ტარა; 20. ინტი; 21. ცამეტი; 22. მზარეული; 23. ეტი; 24. მიტინგი; 25. ტოკაი; 26. ოსაკა; 27. მძიმე; 28. ატრევსი; 29. ანტრე; 30. ინი; 31. ტაროსი; 32. კნოპი; 33. ტოსტაო; 34. მეფე მზე; 35. რიფი; 36. ესე; 37. ბრნო; 38. თრია; 39. „რეალი“; 40. გრანტი; 41. ოიმიაკონი; 42. ვიშნუ; 43. ეისი; 44. აბრა; 45. კონგო; 46. სირ; 47. ერიდა; 48. ბიმონი; 49. გრიმასა; 50. ნიბლია; 51. ელი; 52. ბარაკ; 53. როჩესტერი; 54. აბაზანა; 55. ზმაი; 56. ერიკ; 57. ეირი; 58. გზირი; 59. რიდი; 60. ბარიბალი; 61. ლუჩია; 62. ბეტა; 63. ჯი; 64. ლაილაი; 65. მადრიგალი; 66. კალთა; 67. კოსტარიკა: 68. ორთი; 69. მაკლაი; 70. რაინდი; 71. აიაზმა; 72. რვა; 73. ტუზი; 74. ანიკა; 75. რე; 76. იმაგო; 77. სირდარია; 78. კრეტა; 79. „დდტ“; 80. ხაო; 81. ოსი; 82. არარა; 83. კაა.

გამარჯვებული 30 კომპანია

- ავერსი ფარმა
- ბაზის ბანკი
- GWP-ჯორჯიან უოთერ ენდ ფაურ
- GULF-გალფი
- DWC - გომი
- ვაგონმშენებელი ჰოლდინგი
- ვისოლი
- ვითიბი
- ზედაზენი
- თეგეტა მოტორსი
- თიბისი ბანკი
- კოდა
- ლიბერთი ბანკი
- ნიკორა
- NCC-ასკ
- ორბი ჯგუფი
- პსპ
- პეტროკასი
- RMG-არემჯი
- რუსთავის აზოტი
- რუსთავის მეტალურგიული
- საქართველოს ბანკი
- სარაჯიშვილი
- საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი
- სმარტი
- სოკარი
- ჯეოსელი
- ჯეოსტილი
- ჯეოპლანტი
- ჯორჯიან ამერიქან ელოისი

უხელებო ქალი მასაჟს აკეთებს

49 წლის სიუ კენი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე დაოსტატებულ მასაჟისტად მიიჩნევა. თანაც, აღსანიშნავია ის, რომ იგი მასაჟს ფეხებით აკეთებს. სიუ დეფორმირებული ხელებით დაიბადა, მაგრამ ამის მიუხედავად, მთელი ცხოვრება ოცნებობდა, მოხვედრილიყო პარალიმპიურ თამაშებზე. ნორმალური ხელების არქონის გამო, სიუ სულაც არ ეწეოდა ჩაკეტილ ცხოვრებას. — ცურავდა, ცეკვავდა, ბალეტზე დადიოდა, ცხენზეც ჯირითობდა. მას მეუღლე და ორი ჯანმრთელი შვილი ჰყავს. სხვადასხვა გამოცემებისთვის მიცემულ ინტერვიუებში სიუ აღნიშნავს, რომ მხოლოდ ბალეტისა და ვარჯიშის წყალობით გახდა მისი ფეხები ძლიერი და მოძრავი. სახლშიც კი ყველაფერს თავად აკეტებს და მაინცდამაინც არ უყვარს, როცა ვინმე მის დახმარებას ცდილობს. მასაჟის გასაკეთებლად მისულ კლიენტებს ის ყოველთვის აფრთხილებს, რას და როგორ აკეთებს, თუმცა, მასაჟის სეანსზე უარი ჯერ არავის უთქვამს.



მეგობრები – დიდგრძელობის გარანტია

ერთგული და საიმედო მეგობრების არსებობა სიცოცხლეს ახანგრძლივებს, — ასეთ დასკვნებს აკეთებენ ამერიკელი სწავლულები. კაროლინისა და იუტას შტატის უნივერსიტეტების მკვლევარებმა დაადგინეს, რომ რაც უფრო ბევრი მეგობარი ჰყავს ადამიანს, მით მეტ ხანს ცოცხლობს. თუმცა, სპეციალისტები აცხადებენ, რომ ჯერჯერობით ეს ფენომენი მეცნიერულად ამოუხსნელია, მაგრამ განსაკუთრებით აღნიშნავენ, რომ ერთგული მეგობრების მნიშვნელოვანი რიცხვის არსებობა ადამიანის სოციალურ აქტივობასა და ინტენსიურ ცხოვრებას უწყობს ხელს. სწავლულებს ამ მტკიცებულების ერთ-ერთ არგუმენტად ის ფაქტიც მოჰყავთ, რომ ახლო მეგობრები ხშირად ფინანსურად ეხმარებიან ერთმანეთს.

ლიბანში ყველაზე ძვირფასი საპონი დაამზადეს

მსოფლიოში ყველაზე ძვირფასი საპონი ლიბანელებმა დაამზადეს — მისი 160-გრამიანი ნაჭერი 2800 დოლარი ღირს. ერთი შეხედვით, ეს ჩვეულებრივი, ლიბანური ზეითუნის საპონია და მისივე მსგავსი სუნი აქვს. თუმცა ალმასისა და ოქროს პუდრს შეიცავს — 5 და 17 გრამს, შესაბამისად. საპონს „ყატარი“ ჰქვია და ხელით ამზადებენ ერთ-ერთი ადგილობრივი მეწარმის ოჯახურ ლაბორატორიაში. აღსანიშნავია, რომ ეს ოჯახი უკვე 500 წელია ამ საქმითაა დაკავებული. მათი ბიზნესი სათავეს 1480 წლიდან იღებს და მას შემდეგ წარმოების საიდუმლო თაობიდან თაობას გადაეცემა. საპნის მწარმოებელი ამტკიცებს, რომ მიუხედავად მყარი ნაწილაკების შემცველობისა საპონში, ის კანისთვის მეტად სასარგებლოა. გარდა ძვირფასი შემადგენლობისა, ჰიგიენის საშუალება მცენარეულ ექსტრატსა და ეთერზეთებს შეიცავს. როგორც ამბობენ, ძვირფასი საპონი ყატარის პირველი ლედისთვის საჩუქრად და მსოფლიო საზოგადოების თვალში ლიბანის იმიჯის ასამაღლებლად მოიფიქრეს. ცოტა ხნის წინ დოჰაში გამართულ ფუფუნების საგნების გამოფენაზე ეს საპონი ნამდვილ სენსაციად იქცა.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.